ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ოცნება“ მხარდამჭერებს ბიუჯეტიდან აფინანსებს“

თეონა ქალიძე: „ახლა პროკურატურამ გაარკვიოს, სად წავიდა 2 მილიონი“



გვ.4

## 27 ივნისიდან

შიო გვეტაძე

## მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

სამშაბათი, 27 ივნისი, 2017 №150 (7385) ფასი: 50 თეთრი

# რა სკანდალურ წერილს გაუგზავნის დეკანოზი გიორგი მამალაძე ციხიდან პატრიარქს



26 ივნისს დაკითხულ მოწმეთა შორის ერთ-ერთი იყო ბიზნესმენი, რომლის სახლშიც ბრალდებული მამალაძე უსასყიდლოდ ცხოვრობდა. ამ პირმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც პატრიარქი წაიყვანეს ბერლინში, ბრალდებული მამალაძე დაუკავშირდა და 7.000 ევრო სთხოვა, თითქოსდა პატრიარქის სამკურნალოდ სჭირდებოდა, რათა წაეღო გერმანიაში.

გვ.4

## „ივანიშვილი არ დაუშვებს, რომ კალაძემ არჩევნები მის გარეშე მოიგოს“

გვ.2 „თბილისში ნაციონალების კანდიდატს მცირე შანსი ექნება“







## დავით დარჩიაშვილი: „უღუმაშვილის მთავარი მინუსი მისი გამოუცდელობაა“





გვ.3

„კალაძის გამარჯვება არსებულის გაგრძელება იქნება“

## „ნიკა მელიას პარლამენტიდან წასვლა ნიკა რურუამ აიძულა“

გვ.3





## მუხთარლის მედიკამენტების მიღება და ხალხთან შეხვედრა აუკრძალეს



ევროსასამართლომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას მუხთარლის საქმეზე შეკითხვები გამოუგზავნა

გვ.5

ISSN 1987-9385

## გია ჟორჟოლიანი „ქართულ ოცნებას“ ტოვებს?



„94-ე მუხლის არსებული ფორმით დატოვება მიუღებელია“

გვ.5

# „ივანიშვილი არ დაუშვებს, რომ კალაძემ არჩევნები მის გარეშე მოიგოს“

## „თბილისში ნაციონალების კანდიდატს მცირე შანსი ექნება“

ნონა ცაბაძე

ნაციონალურმა მოძრაობამ მერობის და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები ოფიციალურად წარადგინა. ზაალ უდუმაშვილის და ნიკა მელიას წარდგენა ძველ თბილისში, მეტეხის ხიდზე შედგა. როგორც ყოფილი ჟურნალისტი აცხადებს, ის გაბრაზებული თბილისელების მერობის კანდიდატია და თბილისელებთან ერთად დაამარცხებს ივანიშვილის კორუმპირებულ რეჟიმს.

რა შანსები აქვთ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს? რატომ შეჩერდა არჩევანი ზაალ უდუმაშვილზე? რატომ აგვიანებს „ოცნება“ კანდიდატის დასახელებას? იქნება თუ არა ხელისუფლება ამ არჩევნებშიც უალტერნატივო? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტები რამაზ საყვარელიძე და თორნიკე შარაშენიძე პასუხობენ.

**რამაზ საყვარელიძე** – ექსპერტი, ფსიქოლოგი.



***– ბატონო რამაზ, ნაციონალურმა მოძრაობამ ოფიციალურად წარადგინა მერობის კანდიდატად ზაალ უდუმაშვილი. რა შანსები აქვს მას და ექნებოდა თუ არა მეტი შანსი უდუმაშვილს, ის რომ დამოუკიდებელი კანდიდატი ყოფილიყო?***

– რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ კანდიდატს მეტი შანსი აქვს დღევანდელ პირობებში, მაგრამ უდუმაშვილი არ აღიქმება დამოუკიდებელ კანდიდატად, ამიტომ გინდ ყოფილიყო ნაციონალების სახელით და გინდ არა, რეაქცია მაინც ერთნაირი იქნებოდა.

***– გაბრაზებული თბილისელების მერობის კანდიდატი ვარო.***

– რაც შეეხება გაბრაზებულ თბილისელებს, სიტყვებს რეალური მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს იმის მიხედვით, თუ ვინ ამბობს ამას. 2012-ში ნამდვილად იყვნენ გაბრაზებული ადამიანები. დღეს უკმაყოფილო ადამიანები არიან, გაბრაზებული ნამდვილად არა. 2012-მდე ჩვენ გვახსოვს რამდენი დემონსტრაცია იყო, მათ შორის სისხლით დარბეული. დღეს უკმაყოფილება არის, მაგრამ ეს უკმაყოფილება იმ გაბრაზებამდე არ მისულა, როცა ქუჩაში ხალხი გამოდის. ამიტომ ტერმინებს რომ მოუფრთხილდნენ და ასე არ ისროლონ, რომელიც მათ მიმართ გამოიყენება უპირველეს ყოვლისა, ალბათ მათთვის უკეთესი იქნება, იმიტომ, რომ მათ სიტყვას ექნება ფასი, თუ არადა მათივე სიტყვა უფასურდება, როცა იწყება სიტყვების გაყალბება.

***– რა შანსები აქვს თბილისში ნაციონალურ მოძრაობას?***

– თბილისში ნაციონალური მოძრაობის შანსი არის იმ მხარდამჭერების რიცხვი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ხმას აძლევს მათ. ეს შედარებით ნაკლებია, ამიტომ შანსიც მცირეა.

***– კარს ვტოვებთ ღიას, ვისაც სურვილი აქვს, შემოგვიერთდეს, მე სხვა პარტიების კანდიდატიც ვიქნებიო. ანუ გაერთიანებას სთავაზობენ ოპოზიციურ პარტიებს ნაციონალები? წავა ამაზე ოპოზიცია? რამდენად სჭირდებათ დღეს ნაციონალური მოძრაობის იარლიყი?***

– მე მახსოვს, რომ რამდენჯერმე გაიჟღერა ანალოგიურმა შეთავაზებებმა ნაციონალების მხრიდან და მაშინაც კი, როცა პარტიებს ძალიან უჭირდათ, ამგვარი შეთავაზება არ მიუღიათ. ფაქტებმა გვიჩვენა, რომ დამღუპველია ამ წინადადების მიღება პარტიებისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– პაატა ბურჭულაძე რომ შემოვიდა პოლიტიკაში, მის მიმართ, როგორც მესამე ალტერნატიული ძალის მიმართ, ძალიან დიდი ინტერესი იყო, დიდი სიმპათია გაჩნდა. 10%-ზე მეტი აიღო მაშინვე რეიტინგებში, როგორც კი შემოვიდა, მაგრამ როგორც კი გამოიკვეთა, რომ იგი ნაციონალების მომხრე იყო, ოღონდ ეს ირიბად გამოჩნდა, ამ ყველაფრის შემდეგ პაატა ბურჭულაძის რეიტინგი დაეცა. ასე რომ, ნეიტრალური ფიგურაც კი, საკმაოდ დიდი ავტორიტეტის, გააფუჭა, ჩაძირა ნაციონალურმა მოძრაობამ.

დღევანდელი სუსტი პარტიები, რომლებიც 10%-ს ყველა ერთადაც კი ვერ აგროვებს, ნაციონალებს რომ მიეწებონ, კიდევ უფრო მძიმე იქნება მათი შედეგები.

***– ასევე წარადგინეს ნიკა მელიას კანდიდატურა, რომელიც აცხადებს, რომ ტოვებს პარლამენტის დეპუტატის მანდატს და იბრძოლებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის.***

– ეს მათი არჩევანია. მიაჩნიათ, რომ თბილისი ისეთი ძლიერი რეგიონია, რომ აქ დიდი ბრძოლაა საჭირო. რეალურადაც ასეა, საკვანძო ადგილია ნებისმიერი პოლიტიკური არჩევნებისთვის. კი ბატონო, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე რომ გახდეს, ჯერ საკრებულოში უმრავლესობა უნდა მოიპოვოს ნაციონალურმა მოძრაობამ. ამ სტატუსისთვის ბრძოლა მეეჭვება, რომ ნაციონალური მოძრაობისთვის პერსპექტიული იყოს.

***– ბოლო პერიოდში ხშირად იხსენებენ და ადარებენ დღევანდელ სიტუაციას შევარდნაძის მოღვაწეობის ბოლო წლებს, როდესაც მან წააგო ადგილობრივი არჩევნები მაშინდელ ოპოზიციასთან. გვახსოვს, რომ სააკაშვილი გახდა იმ დროს საკრებულოს თავმჯდომარე. რამდენად აქვს დღეს რომელიმე ოპოზიციურ ძალას იმის შანსი, რომ დაამარცხოს „ქართული ოცნება“?***

– ჯერ ერთი, მაშინ, თუ არ ვცდები, „ბოროტი ენები“ ამბობდნენ, რომ გაიმარჯვა ლეიბორისტულმა პარტიამ. იმ პერიოდში ლეიბორისტული პარტია სიახლეს წარმოადგენდა და ხალხი ამ სიახლემ მიიზიდა. დღეს ნაციონალური მოძრაობა ხალხისთვის ასეთ სიახლეს არ წარმოადგენს. ხოლო რითაც ცნობილია საზოგადოებაში, ეს ხალხისთვის დიდად მიმზიდველი არ არის.

***– „ქართული ოცნება“ რატომღაც არ ჩქარობს საარჩევნო კამპანიის დაწყებას. ოფიციალურად არც კანდიდატი წარუდგენიათ. კახი კალაძე აცხადებს, პოლიტსაბჭო ჩატარდება და გადაწყდება, ვინ იქნება კანდიდატიო. მისივე თქმით, სამი თვის განმავლობაში საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამომრჩევლის შეწუხებაა. რას იტყვით თქვენ?***

– თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სამი თვე ზაფხულის თვეებია. პრაქტიკულად ალბათ დაკარგული თვეებია. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ ალბათ სპრინტერის პრინციპს აირჩევს, როცა გვიან ერთვება ფინალური ბრძოლისთვის სპორტსმენი და იმარჯვებს სწორედ იმის ხარჯზე, რომ გადაქანცულ მეტოქეებს გადაუსწრებს ხოლმე. ეს სტრატეგიაც არსებობს.

***– რატომ აჭიანურებს პრეზიდენტი არჩევნების თარიღის გამოცხადებას?***

– არ არის გამორიცხული, ოქტომბერში გადავიდეთ. თუმცა, გინდ სექტემბერი იყოს და გინდ ოქტომბრის შუა რიცხვები, ან სულაც ოქტომბრის ბოლო, არსებითად არ მგონია, სურათი შეიცვალოს.

***– ანუ ამ არჩევნებშიც „ოცნება“ უალტერნატივო იქნება?***

– ამ არჩევნებში „ოცნება“ კიდევ უფრო უალტერნატივო იქნება, რადგან პერსონალური თემა მოდის წინა პლანზე. ანუ თბილისის მერობა! თბილისის მერობის თვალსაზრისით კი ბევრი უპირატესობა აქვს კახი კალაძეს. უკვე დიდი უპირატესობაა ის, რომ არ არის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი. მით უმეტეს, არის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი.

გარდა ამისა, მას, განსხვავებით ნაციონალების კანდიდატ უდუმაშვილისგან, აქვს მეურნე მუშაობის გამოცდილება, სადაც თავი არც ისე ცუდად აჩვენა. საკმაოდ წარმატებული მინისტრი იყო. ეს დიდი პლუსია მერობისთვის, თუ პრაგმატულად მიუდგება მოქალაქე. მერობა არ არის მარტო პოლიტიკური თანამდებობა. დასახელებულ კანდიდატებს კალაძე არაფრით ჩამოუვარდება, პირიქით, ყველა მათგანს ჯობია.

***– ამ არჩევნებზე რამდენად წამოიწევს წინა პლანზე ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი? ის ამ არჩევნებში არ ჩაერთვება? რას იტყვით თქვენ?***

– ივანიშვილი ყოველთვის ცდილობს, არ მიიღოს მონაწილეობა, თუ არ არის ამის აუცილებლობა. 2016-შიც მინიმალურად ჩაერია. მე მგონი, კახი კალაძის ფიგურასთან დასახმარებელი ჩარევა არ იქნება საჭირო.



* * *

ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე:**

– თუ სერიოზული სისტემური კრიზისი არ შეიქმნა „ოცნებაში“, ნაციონალურ მოძრაობას და მის კანდიდატს თბილისში სერიოზული შანსები არ აქვს.

***– ანუ ზაალ უდუმაშვილის შანსები მინიმალურია?***

– თუ „ოცნებას“ გამოვრიცხავთ, ამ შემთხვევაში შანსი პირველ რიგში ნაციონალურ მოძრაობას აქვს, ხოლო ამ მონაცემებით მათი შანსი ნაკლებია. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ თბილისში ნაციონალურ მოძრაობას გაცილებით ნაკლები რეიტინგი აქვს, ვიდრე რეგიონებში.

***– რა შანსი ექნებოდა უდუმაშვილს, დამოუკიდებელ კანდიდატად რომ ეყარა კენჭი?***

– ამ შემთხვევაში მედლის ორი მხარეა. კი, თბილისში ნაცმოძრაობა ბევრს არ უყვარს, ამიტომაც ეს ზაალ უდუმაშვილის პირად რეიტინგს რაღაცას აკლებს, მაგრამ, ამავდროულად, მის უკან დგას საკმაოდ სერიოზული პარტია სერიოზული რესურსებით. ასე რომ, ძნელია იმის თქმა, დამოუკიდებლად ზაალ უდუმაშვილი მეტ ხმას აიღებს თუ არა. ალბათ, არა. დღეს მის უკან დგას გამოცდილი პარტია, მობილიზებული ამომრჩევლით. მას უკვე აქვს გარანტირებული ხმები, თუმცა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის.

***– მით უმეტეს მაშინ, თუ მისი მეტოქე კალაძე იქნება?***

– წესით, დიდად კალაძეც არ უნდა უყვარდეთ თბილისში. თბილისელებს უკვე მეორედ არათბილისელი მერი ალბათ არ მოსწონთ, მაგრამ ეს უნდა გადაწონოს მაინც თბილისელების ანტიპათიამ ნაციონალების მიმართ. ფაქტია, რომ ეს ანტიპათია ჯერ კიდევ არსებობს.

***– და მათ ვერც ზალიკო უდუმაშვილი უშველის?***

– დღეს ნაციონალებმა იპოვეს მშვენიერი კანდიდატი, რომლის მიმართაც არავის პრეტენზია არ აქვს, მათ შორის თბილისელ ყველაზე უფრო რადიკალ ქოცებსაც კი. მომავალში, შესაძლოა, ეს კანდიდატი გამოადგეთ კიდეც, თუ ნაციონალური მოძრაობა სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება და შეივსება მისი რიგები ახალი სახეებით. ამას დიდი დრო და სწორი მუშაობა დასჭირდება. ჯერჯერობით უჭირთ.

***– რატომ შეირჩა უდუმაშვილის კანდიდატურა?***

– ნაციონალებში სერიოზული კრიზისია და ამ სიტუაციაში უდუმაშვილი მათთვის დიდი მიგნებაა. ეს არის პარტია, რომელიც ხუთი წლის წინ იყო ძლიერი და ახლა დაიშალა რამდენიმე ნაწილად. იმ ნაწილს, რომელიც დარჩა, უბრალოდ შერჩა სახელი ნაციონალური მოძრაობის. ზალიკო უდუმაშვილი კარგი ნაბიჯია, მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი. მე არ ვიცი, ზალიკო როგორ დაითანხმეს, უნდოდა თუ არა მერობის კანდიდატობა, ესეც საკითხავია, მაგრამ ეს მიღწევაა ნაციონალებისთვის და არა – თავად ზაალ უდუმაშვილისთვის. დღეს ნაციონალებს უფრო აწყობთ უდუმაშვილი, ვიდრე პირიქით.

***– რამდენად წარმატებული იქნება მისთვის პოლიტიკაში წასვლა? ბევრი ცნობილი სახე წავიდა ჟურნალისტიკიდან, თუმცა ისევ უკან დაბრუნდნენ.***

– ეს გვახსოვს ჩვენ. თუმცა ზალიკოს უკან პარტია დგას და იდგება ბოლომდე. ხოლო სხვა ჟურნალისტები, ვინც წავიდნენ, გვარს აღარ დავასახელებ, მათ უკან ძლიერი პარტიები არ იდგა. მათ უკან დროებითი პარტიები იდგა.

***– ბიძინა ივანიშვილის ასეთი პასიურობის მიუხედავად, „ოცნება“ ამ არჩევნებში უალტერნატივოა?***

– კი, თუ „ოცნებას“ არ ექნება სისტემური კრიზისი. ჯერჯერობით სისტემური კრიზისი არ დგას. თუმცა ორი კვირის წინ იცით, რაღაც ხმები გავრცელდა, თუმცა ამას სერიოზული ჯერჯერობით არაფერი მოჰყოლია. ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდება.

***– თქვენ ასე ფიქრობთ?***

– დიახ, რადგან ბიძინა ივანიშვილს არ აწყობს, რომ კალაძემ დამოუკიდებლად მოიგოს არჩევნები, ისე, რომ ბიძინა ივანიშვილი მის გვერდზე ერთხელაც არ გამოჩნდეს. ეს ივანიშვილისთვის მიუღებელი იქნება. გამომდინარე ძველი გამოცდილებიდან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება. როცა მარგველაშვილის კანდიდატურა დასახელდა, მის გვერდით იდგა, ასევე იდგა ნარმანიას გვერდით. ამით აფიქსირებდა ივანიშვილი, ჩემ გარეშე ვერ გავლენო. მარგველაშვილის გვერდით რომ არ მდგარიყო ივანიშვილი, მარგველაშვილი მაინც გავიდოდა, რადგან ის „ოცნების“ კანდიდატი იყო. უფრო იმიტომ იდგა, რომ დაენახებინა ხალხისთვის, ჩემი ავტორიტეტის გარეშე ის არაფერს წარმოადგენსო.



***– იგივე იქნება კალაძის შემთხვევაშიც?***

– ახლაც ასე იქნება. მით უმეტეს, კალაძის შემთხვევაში, როდესაც კახი კალაძე ჩამოყალიბდა ძლიერ თვითმყოფად ფიგურად, ვიდრე 2012-ში იყო მარგველაშვილი, არ მგონია, რომ მას მისცეს ამის საშუალება და კალაძემ თქვას, რომ დამოუკიდებლად მოიგო არჩევნები, ბიძინას დახმარების გარეშე. ივანიშვილი ამას არ დაუშვებს.

***– კვირიკაშვილმა განაცხადა, კალაძეს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები აქვსო. ის მხოლოდ მერობით შემოიფარგლება?***

– ეს ჩანს ნამდვილად, რომ მას სერიოზული ამბიციები აქვს. მე მგონი, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მერობით. კალაძეს რომ ვუყურებ, გამომდინარე იქიდან, რასაც მიაღწია, მისი სპორტული ჟინიდან, მას მეტი ამბიციები უნდა ჰქონდეს. რამდენად მისცემს ამის საშუალებას ბატონი ბიძინა, ეს სხვა ამბავია.

***– რატომ აჭიანურებს „ოცნება“ მისი კანდიდატურის ოფიციალურად წარდგენას?***

– ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ „ოცნების“ შიგნით რაღაც ხდება. ამიტომაც ვახსენე სისტემური კრიზისი, შიდა ჯგუფური დაპირისპირებები და სწორედ ამის გამოვლინებაა კალაძის წარდგენის გაჭიანურება. არის პატარა შანსიც, რომ ეს ყველაფერი გადაიზარდოს სისტემურ კრიზისში.

***– უშვებთ იმას, რომ შესაძლოა შეცვალონ კანდიდატი და ეს სულაც არ იყოს კახი კალაძე?***

– არაფერი გამორიცხული არ არის. ფაქტია, რომ ეს პროცესი ძალიან ჭიანურდება.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „უდუმაშვილის მთავარი მინუსი მისი გამოუცდელობაა“

## „კალაძის გამარჯვება არსებულის გაგრძელება იქნება“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი წევრი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერობის კანდიდატების შანსებს აფასებს.

***– ბატონო დავით, რა შანსი აქვს ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატ ზაალ უდუმაშვილს? ხუხაშვილი ამბობს, რომ მას მეტი შანსი ექნებოდა, როგორც დამოუკიდებელ კანდიდატს, საყვარელიძე კი პირიქით ამბობს, რომ უდუმაშვილი აიღებს იმდენ ხმას, რამდენსაც აიღებს ნაციონალური მოძრაობა.***



– რა შანსები აქვს ზაალ უდუმაშვილს? მე ვფიქრობ, რომ უდუმაშვილმა შეიძლება მიიღოს ცოტა მეტი ხმა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა მიიღებდა, რადგან მას წარსულზე ვერავინ ვერაფერს მოსთხოვს. უდუმაშვილი არის სუფთა ფურცლით მოსული. ამავე დროს, ის არის ცნობადი სახე, მაგრამ ვინც კრიტიკულად დაფიქრდება, იტყვის, რომ მისი მინუსი გამოუცდელობაა. პოლიტიკური ბრძოლის გამოუცდელობაზე ვსაუბრობ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში.

***– როგორ მიიღეთ მისი ეს გადაწყვეტილება? ზოგადად როგორ აფასებთ, როდესაც გამოუცდელი ადამიანები მიდიან პოლიტიკაში?***

– როგორც ჩანს, ის დაარწმუნეს. არ ვიცი, საბოლოო ჯამში რამ გადაწყვიტა, მაგრამ მის ამ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, რადგან ეს არის მისი, პიროვნების გადაწყვეტილება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ ძალიან მნიშვნელოვანი პოსტისთვის, ნაკლები გამოცდილება აქვს, რაც მისი მინუსია. პოლიტიკური ბრძოლა, ოპონენტებთან პოლემიკა, ამომრჩეველთან მუშაობა, 24 საათიანი, ყოველდღიური მუშაობა ძალიან რთული საქმეა.

***– ჟურნალისტობაც არ არის მარტივი საქმე.***

– გასაგებია, მაგრამ სულ სხვა სპეციფიკა არის. მით უფრო, საინფორმაციო გადაცემის წაყვანა სულ სხვა არის და სულ სხვა არის საარჩევნო მარათონი და საარჩევნო ბრძოლის გამოცდილება.

***– ისე, ჟურნალისტები, როდესაც პოლიტიკაში მიდიან, მერე უკან იმედგაცრუებულები ბრუნდებიან. მართლაც რა არის გადამწყვეტი, მხოლოდ გამოცდილება?***

– გამოცდილება და სპეციფიკური ენერგიაა საჭირო ამ საქმისთვის. ყველაფერზე მაღლა აყენებ იმ ამოცანას, რომელიც დასახული გაქვს და იმ ამოცანის მისაღწევად დღენიადაგ იბრძვი. პოლიტიკოსობა არ არის პროფესია, ეს უფრო გუნებ-განწყობის მდგომარეობაა. პოლიტიკოსი ხარ ან არ ხარ. ამდენად, ნებისმიერი პროფესიის ადამიანს შეუძლია გახდეს პოლიტიკოსი, მაგრამ როგორი პოლიტიკოსი დადგება, ეს უკვე მასზე არ არის დამოკიდებული. ეს ენერგეტიკა გაქვს ან არ გაქვს.

### „თბილისის მერობა ყოველი ჭისა და ჭანჭიკის ცოდნას არ ნიშნავს, ეს პირველ რიგში პოლიტიკური თანამდებობაა“

***– ხშირად გამიგია, რომ თბილისის მერი, მიუხედავად იმისა, რომ მილიონნახევრიანი ქალაქია, პოლიტიკოსი არ უნდა იყოს, ყველა ჭის თუ ჭანჭიკის ადგილი უნდა იცოდეს ქალაქში. ეთანხმებით?***

– არა, ხშირად გამიგია ამ მოსაზრების შესახებ, მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ეს უფრო პოლიტიკური თანამდებობაა, ვიდრე ყოველი ჭისა თუ ჭანჭიკის მცოდნის თანამდებობა. მართალია, მერის ფუნქციები პოლიტიკურად განსაზღვრული არ არის, ქვეყნის პოლიტიკაზე თითქოს გავლენას არ ახდენს, არ უნდა ახდენდეს კანონმდებლობით, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამომრჩევლის ერთი მესამედი თბილისში ცხოვრობს და მერის არჩევაც პირდაპირი წესით ხდება, უზარმაზარი სიმბოლური კაპიტალის მფლობელი ხდება ამ თანამდებობაზე არჩეული პირი.

ეს ნაკლებად ითქმის ნარმანიაზე, რადგან სისტემა, რომელშიც აღმოვჩნდით, ისეთია, რომ ქვეყანაში ყველა ინსტიტუტმა აზრი დაკარგა, ივანიშვილის გარდა. მერის თანამდებობა იმ შემთხვევაში იქნება პოლიტიკური წონის, თუკი ივანიშვილის დამარცხება მოხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი, პოლიტიკური ფიგურის დანახვა შეუძლებელი იქნება.

თუ სახელისუფლო კანდიდატი არ გაიმარჯვებს და გაიმარჯვებს ელენე, ზალიკო თუ ალეკო, არ ვიცი, კიდევ ვინ, ეს ადამიანები სხვა წონის მატარებლები იქნებიან, მათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ექნებათ პირდაპირ თბილისელებთან, ისინი ბევრად უფრო დამოუკიდებელი ფიგურები იქნებიან.

***– ჯერ ოფიციალურად არ არის კალაძე დასახელებული, თუმცა, როგორი მერი იქნება, რას ფიქრობთ?***




– კალაძის შანსები, რა თქმა უნდა, მაღალია, რადგან ხელისუფლების წარმომადგენელია. ხელისუფლებამ ვინც არ უნდა დააყენოს, მის უკან არის ძალის დიდი რესურსი, ადმინისტრაციულიც და პიროვნულიც, ვგულისხმობ ივანიშვილის რესურსს. შესაბამისად, შანსები მაღალი აქვს, მაგრამ მისი გამარჯვება ნიშნავს იმ სისტემის გაგრძელებას, რაშიც ახლა ვიმყოფებით. ვიღაცას შეიძლება ეს სისტემა მოსწონს, თავისად მიაჩნია, მაგრამ მთლიანობაში ეს არის დაბრუნება ახალი ფორმით იერარქიული, ფეოდალური საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის.

კალაძე იქნება, რასაკვირველია, თუ მერი გახდა, იმ თანამდებობის პირი, რომელიც გარკვეული კლანების ინტერესებს გამოხატავს და მათ ემსახურება.

***– თუმცა, ექსპერტები აცხადებენ, რომ კალაძე ნარმანიას ანტიპოდი იქნება, სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით წავა, ვინაიდან კალაძეს მეტის პრეტენზია აქვს. ასე არ ფიქრობთ?***

– შეიძლება პარადოქსალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ნარმანია თავისდაუნებურად ჩაჰყვა ამ კლანურ, იერარქიულ თამაშებს, თორემ ის თავისი ღირებულებებითა და წარსულით, ასეთი სულაც არ იყო. წაიყვანეს და ნელ-ნელა გადააქციეს იმად, რადაც გადააქციეს. კალაძე კი არის პოსტსაბჭოური ოლიგარქიული მმართველი კლასის ტიპიური წარმომადგენელი, მთელი თავისი ურთიერთობებით, ნაცნობობით, დამოკიდებულებებით. წითელი ვარდისფერში რომ გადაიზარდა, იმგვარი მმართველი ელიტის წარმომადგენელია.

***– აშკარაა, რომ კალაძეს ამბიცია აქვს, რომ უკეთესი მერი იყოს.***

– დიახ, აქვს ამბიცია, ეს სავსებით გასაგებია, მას აქვს ამბიცია, რაც ნარმანიას აბსოლუტურად არ ჰქონდა. ნარმანია დასვეს და ოლიგარქიული მმართველობის დანამატად გადაიქცა, მაგრამ მე ვამბობ, რომ კალაძე თავად არის ამ ოლიგარქიული მმართველობის სისხლი და ხორცი. ამიტომ ვამბობ, რომ კალაძე დიდი ენთუზიაზმით იქნება იმთავითვე აღჭურვილი, ეს ღიად ჩანს. ის იფიქრებს თავის უახლოეს გარემოცვაზე და საერთო სისტემის შენარჩუნებაზეც.

***– თქვენი პარტიიდან ელენე ხოშტარიას რა შანსები აქვს?***

– მე მგონია, რომ მერობის ფუნქციის განხორციელებას ყველაზე კარგად სწორედ ელენე ხოშტარია შეძლებს, რადგან მისთვის ამოსავალი სწორედ მოქალაქეთა ინტერესებია. ის პირველი დღე არ არის, რაც პოლიტიკაშია, მას გააჩნია შესაბამისი განათლებაც, იცის ქალაქის სპეციფიკა. მონაწილეობდა არჩევნებში, მან ეს საქმე იცის.

***– თუმცა, არჩევნებში ვერ გაიმარჯვა.***

– მან ეს საქმე იცის კონკურენტებთან შედარებით კარგად.

***– გადამწყვეტი ბრძოლა ვისა და ვის შორის იქნება?***

– მე სურვილი მაქვს, რომ ეს ორთაბრძოლა ელენესა და სახელისუფლო კანდიდატს შორის გაიმართოს.

***– ობიექტურად?***

– რეალურად რა და როგორ წავა, ვნახოთ, ყველა შეეცდება, რომ ამ გამარჯვებას არაფერი დააკლოს და ბოლომდე იბრძოლოს.

# „ნიკა მელიას პარლამენტიდან წასვლა ნიკა რურუამ აიძულა“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია პარლამენტიდან მიდის. ამ გადაწყვეტილების შესახებ მელიამ ჟურნალისტებს თავად აცნობა. დეპუტატი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში პარლამენტში მუშაობა უინტერესოა.




ნიკა მელია დარწმუნებულია, რომ მთავარი პოლიტიკური ბრძოლის ველი თბილისის საკრებულო იქნება. ის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის აპირებს ბრძოლას.

– მთავარი პოლიტიკური ბრძოლის ხაზი გადის იმ ქალაქში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს, თბილისის საკრებულო იქნება ის ადგილი, სადაც პოლიტიკური პერიპეტიები გადაინაცვლებს და არა ის ერთპარტიული პარლამენტი, რომელიც არაფრისმომცემი და უინტერესოა, დეპუტატები მხოლოდ სიარულისთვის დადიან, საკონსტიტუციო უმრავლესობის პირობებში, ვერავინ ვერაფერს აკეთებს, – განაცხადა ნიკა მელიამ.

რამდენიმე თვის წინ ნაციონალური მოძრაობა მისი კანდიდატურის დასახელებას თბილისის მერის პოსტზე აპირებდა. მელიამ მერის პოსტზე ერთხელ უკვე იყარა კენჭი. 2014 წელს ის დავით ნარმანიას მთავარი კონკურენტი იყო. მოქმედმა მერმა ის მეორე ტურში დაამარცხა.

ნაციონალურ მოძრაობაში არ აკონკრეტებენ, თუ რატომ შეიცვალა მერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. თავიდან მხოლოდ მისი კანდიდატურა განიხილებოდა. მერე თქვეს, რომ ამ საკითხზე პლებისციტი ჩატარდებოდა, სადაც მელიას და გრიგოლ ვაშაძეს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ყველაფერი კი სულ სხვანაირად დასრულდა – რამდენიმე კვირის წინ გადაწყდა რომ მათი მერობის კანდიდატი ზაალ უდუმაშვილი იქნებოდა.



პატრიოტთა ალიანსის წევრი ლადო სადღობელაშვილის ინფორმაციით, მელიამ პარლამენტიდან წასვლა ნიკა რურუას გამო გადაწყვიტა.

– დღეს ნაციონალური მოძრაობის მეფე არის ნიკა რურუა. მისი დაბრუნების შემდეგ პარტიაში ბევრი რამე შეიცვალა. მან საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. ნიკა მელიას საპარლამენტო ფლანგზე ევალებოდა პოლიტიკური ამინდის შექმნა. თავიდან ის ძალიან აქტიური იყო, მაგრამ შემდეგ ველარ გაქაჩა.

მის მიერ ნაჩვენები შედეგით რურუა უკმაყოფილო დარჩა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან აიძულა მელია, დაეტოვებინა პარლამენტი, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში სადღობელაშვილი.

ამ ინფორმაციას ნაციონალები არ ადასტურებენ. ამბობენ, რომ ეს აბსურდია. თუმცა კერძო საუბარში ადასტურებენ, რომ ნიკა რურუას მისვლის შემდეგ პარტია გამოცოცხლდა.

რაღაც დროის მანძილზე ნიკა რურუა და მისი თანამოაზრეები ყოფილი ხელისუფლებისგან გამიჯნულები იყვნენ.

ნიკა რურუამ გრიგოლ ვაშაძესთან და მამუკა გამყრელიძესთან ერთად „ივერია“ შექმნა. შარშან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ისინი პაატა ბურჭულაძესთან გაერთიანდებოდნენ.

ახლა „ივერიელები“ ისევ ნაციონალებში არიან და პარტიის ლიდერობასაც უძლევებიან.

* * *

ნიკა მელიას პარლამენტი დეპუტატის უფლებამოსილებას ახლო მომავალში შეუწყვეტს. მას ყოფილი დეპუტატი ბადრი ბასიშვილი ჩაანაცვლებს.

ბასიშვილი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ის დევნილებით დაკომპლექტებულ ზონდერდაჯგუფებას მეთაურობდა. ისინი 2009-2012 წლებში ოპოზიციის აქციების დარბევაში მონაწილეობდნენ.

# გოგა ონიანი: „ირაკლი ჩხვირკიას საკანში გაუსაძლისი მდგომარეობაა“

ბათუმის მოვლენებზე სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებული ირაკლი ჩხვირკიას ადვოკატის, გოგა ონიანის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის საკანში გაუსაძლისი მდგომარეობაა.

როგორც ონიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საკანში ოთხის ნაცვლად ექვსი პატიმარი იმყოფება, ერთ-ერთი მათგანი კი ნაციონალური მოძრაობის წევრობის გამო, ჩხვირკიას შეურაცხყოფას აყენებს.

– ირაკლი ჩხვირკიას დაპატიმრება წმინდა წლის პოლიტიკური დევნაა. ციხეში მას ძალიან მძიმე პირობები აქვს. ოთხკაციან საკანში ექვსი ადამიანი იმყოფება, ფაქტობრივად, გაუსაძლისი მდგომარეობაა. ისინი საკანში ვერ ეტევიან, ერთ საწოლზე ორი ადამიანი წვება. საკანში ჩხვირკიას პოლიტიკური ნიშნით, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლობის გამო, შეურაცხყოფაც მიაყენეს. ეს ყველაფერი საფუძველი გახდა იმისა, რომ ირაკლი ჩხვირკიას შიმშილობა დაეწყო თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ვინაიდან სხვა გზა ვერ ნახა, – განაცხადა გოგა ონიანმა.

მისივე ინფორმაციით, ჩხვირკია უკვე მეექვსე დღეა შიმშილობს.

# რა სკანდალურ წერილს გაუგზავნის დეკანოზი გიორგი მამალაძე ციხიდან პატრიარქს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძე პატრიარქს სკანდალურ წერილს დღეს, 27 ივნისს, გაუგზავნის. წერილის გამოსატანად მასთან მამა დავით ჭინჭარაული და დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი შევლენ. ეს გადაწყვეტილება პატრიარქისა და დეკანოზის ოჯახის წევრების შეხვედრისას იქნა მიღებული.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულ დეკანოზს პატრიარქისთვის სკანდალური ინფორმაციის მიწოდება სურს.

არაა გამორიცხული, რომ ეს შეხვედრა ჩაიშალოს. დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება დღეს, 27 ივნისს მიიღებენ.

სკანდალები საპატრიარქოს და ციანიდის საქმეს ისედაც არ აკლია. გუშინ, 26 ივნისს, გამართულ პროცესზე დაცვის მხარემ იმ ვიდეოს ამოღება მოითხოვა, რომელზეც მამა გიორგის ბარგის ჩხრეკაა დაფიქსირებული.

ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, მისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ გაასაჯაროვა პროკურატურამ ეს ვიდეომასალა.

– მართლა გაუგებარია, თუ რატომ არ ასაჯაროებს პროკურატურა აღნიშნულ მასალას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბრალდების მხარე ამბობს, რომ ბარგის ამოღებისა და დალუქვისას არანაირ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.



ჩვენ არაერთხელ მივმართეთ აეროპორტის ადმინისტრაციას დეკანოზ გიორგი მამალაძის ბარგის დალუქვის ამსახველი ვიდეომასალის გადაცემაზე, თუმცა ადმინისტრაციის მხრიდან უარი მივიღეთ. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს დეკანოზ გიორგი მამალაძის ბარგის დალუქვის საკითხზე უამრავ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მიხეილ რამიშვილმა.

პროკურორი ჯარჯი წიკლაური ამტკიცებს, რომ მათ ჰყავთ მოწმეები, რომლებმაც დაინახეს, როგორ დაუვარდა მამა გიორგის ციანიდი.

– მოწმეების, კერძოდ, აეროპორტის საბარგო განყოფილების მესაზღვრეების თანდასწრებით დაილუქა ბარგი და მათივე თანდასწრებით მოხდა უკვე ამ ბარგის გახსნა პროკურატურაში.

მათ დაადასტურეს, რომ ბარგში მომწამლავი ნივთიერება – ციანიდი აღმოჩნდა. კერძოდ, თავად ბრალდებულმა ამოიღო „დეზოდორი", რომლის თავსახურში ჰქონდა ფარულად დამალული საწამლავი. ბრალდებულს სურდა, დაემალა ისე, რომ გამოძიებას ვერ ენახა, თუმცა მას დაუვარდა თავსახური და ყველამ დავინახეთ ციანიდი. ეს საკუთარ ჩვენებაში მოწმეებმაც აღნიშნეს, – განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა.



ადვოკატ პაატა მეხრიშვილის განცხადებით კი, მოწმეები სხვა რამეს ადასტურებენ. მისი თქმით, როდესაც მამა გიორგი მამალაძეს ეს ნივთიერება გადმოუვარდა, ის გაოცებული და გაკვირვებული იყო.

მეხრიშვილს ის ფაქტიც აეჭვებს, რომ დეკანოზის ბარგის დათვალიერება მისი ამოღებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა. მიხეილ რამიშვილის მსგავსად, პროკურატურისგან ისიც ითხოვს განმარტებებს.

– მამა გიორგის ბარგის პროკურატურაში მიტანა და დათვალიერება მისი ამოღებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ მოხდა. ამასთან, მოწმეებს ბარგთან, რომელიც აეროპორტის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, შემხებლობა არ ჰქონიათ. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ამ ბარგის გახსნა უშიშროების სამსახურისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. შესაბამისად, შესაძლებელია, რაიმე ნივთიერების მოთავსება მომხდარიყო ამ ბარგში.

სრულიად გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა ბარგის დალუქვისა და დათვალიერების ვიდეოკამერით გადაღება, რაც საქმეს უფრო ნათელს გახდიდა, – აღნიშნა მეხრიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

სასამართლოზე ერთ-ერთი ბიზნესმენიც დაკითხა. პროკურორ ზვიად გუბელაძის ინფორმაციით, დეკანოზი მის მოტყუებას ცდილობდა.

– 26 ივნისს დაკითხულ მოწმეთა შორის ერთ-ერთი იყო ბიზნესმენი, რომლის სახლშიც ბრალდებული მამალაძე უსასყიდლოდ ცხოვრობდა. ამ პირმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც პატრიარქი წაიყვანეს ბერლინში, ბრალდებული მამალაძე დაუკავშირდა და 7.000 ევრო სთხოვა, თითქოსდა პატრიარქის სამკურნალოდ სჭირდებოდა, რათა წაელო გერმანიაში. რეალურად, სისხლის სამართლის საქმეში არსებობს მტკიცებულებები, კერძოდ, ფარული ჩანაწერები, სადაც ჩანს, რომ 7 ათასი ევრო მამალაძეს სჭირდებოდა ციანიდის შესაძენად და გერმანიაში გასამგზავრებლად. მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა უარი უთხრა, მამალაძემ, მოგეხსენებათ, ეს თანხა სესხის სახით აიღო, – განაცხადა გუბელაძემ.

ციანიდის საქმის განხილვა 29 ივნისს განახლდება.

* * *

სკანდალი აგორდა პროკურატურის მთავარი მოწმის ირაკლი მამალაძის გარშემოც.

რამდენიმე დღის წინ შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ირაკლი ფირცხალავამ ციხიდან წერილი გამოგზავნა. სადაც წერდა, რომ ირაკლი მამალაძე სპეცსამსახურების აგენტია.

ამ ბრალდებებს ირაკლი მამალაძემ აბსურდული უწოდა. მთავარმა პროკურატურამ კი გამოძიება დაიწყო. საგამოძიებო უწყებაში არ გამორიცხავენ, რომ ფირცხალავა მთავარ მოწმეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას აპირებს.

– 2017 წლის 25 ივნისს, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მოწმეზე განხორციელებული შესაძლო ზემოქმედების ფაქტზე.

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის განცხადება, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ მასზე, როგორც ბრალდების მხარის მოწმეზე, მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას მხრიდან ხორციელდება მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ასევე მისი დისკრედიტაცია და პატივისა და ღირსების შელახვა, რაც მიზნად ისახავს გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე სასამართლოში მის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლას, – აცხადებს პროკურატურა.



# „ოცნება" მხარდამჭერებს ბიუჯეტიდან აფინანსებს"

## თეონა ჭალიძე: „ახლა პროკურატურამ გაარკვიოს, სად წავიდა 2 მილიონი"

შორენა მარსაგიშვილი

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის გამო არაერთი სკანდალი აგორებულა. თუმცა ამის გამო თითქმის არავინ დაუსჯიათ. პოლიტიკური პლატფორმა „ახალი საქართველო" საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით კვლევას ასაჯაროებს და მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართავს.

როგორც „ახალი საქართველოს" წარმომადგენელმა თეონა ჭალიძემ „ახალ თაობასთან" საუბარში განაცხადა, „ქართული ოცნება" საკუთარ მხარდამჭერებს ბიუჯეტიდან აფინანსებს.

ჭალიძის განმარტებით, მხარდამჭერების დასაფინანსებლად „ოცნებამ" ამჯერად ერთჯერადი დახმარებები გამოიყენა.

მისივე განმარტებით, ერთჯერადი დახმარებები სოციალურად დაუცველებზე გაიცემა. თუმცა ისე ხდება, რომ სოციალურად დაუცველები ამ თანხებს ვერ ღებულობენ.

– ჩვენ თბილისის მასშტაბით ჩავატარეთ ძალიან საინტერესო კვლევა. 16 თვის მანძილზე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის აპრილის ჩათვლით, 5.478.537 ლარის ფინანსური დახმარება გაიცა. საუბარია ერთჯერად დახმარებებზე, რომელიც, როგორც წესი, უნდა მიიღონ სოციალურად დაუცველმა მოქალაქეებმა და იმ ადამიანებმა, ვისაც ეს ძალიან სჭირდებათ.



ერთჯერადი დახმარების მისაღებად გამგეობებს ბევრმა გაჭირვებულმა მიმართა, მაგრამ მათ დიდ ნაწილს თანხების არარსებობის გამო დახმარებაზე უარი უთხრეს, – ამბობს „ახალ თაობასთან" საუბარში ჭალიძე.

მისი თქმით, ისინი დაინტერესდნენ, თუ რა პრინციპებით გასცემენ გამგეობები ერთჯერად დახმარებას, თუმცა გამგეობებიდან პასუხი ვერ მიიღეს.

– ჩვენ თბილისის ათივე გამგეობიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია. სამმა გამგეობამ საერთოდ უარი გვითხრა ინფორმაციის მოწოდებაზე. მიზეზად პერსონალური მონაცემების დაცვა დაასახელეს. დანარჩენ 7 გამგეობაში გვითხრეს, რომ აღრიცხვას არ აწარმოებენ. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ ვის აძლევენ ისინი ერთჯერად დახმარებას, – აღნიშნავს ჭალიძე.

ერთჯერადი დახმარებები 50 ლარიდან 1.500 ლარამდე მერყეობს. გასაცემი თანხის ოდენობას გამგეობა ადგენს.

კვლევის ავტორების აზრით, საქმე გვაქვს მასშტაბურ კორუფციასთან. დეტალების გარკვევას ისინი პროკურატურისგან ითხოვენ.

– ჩვენ ვერ დაგვისაბუთეს, თუ რა პრინციპით ადგენენ გასაცემი თანხის ოდენობას. ვერც ის აგვიხსნეს, რატომ არ დაეხმარნენ სოციალურად დაუცველებს.



იმ პერიოდში, როცა ჩვენ კვლევა ჩავატარეთ, 22.000-ზე მეტ ადამიანზე გაიცა ერთჯერადი დახმარება. აქედან სოციალურად დაუცველი მხოლოდ 14.869 პირია, რატომ დაეხმარნენ დანარჩენებს, ეს გაურკვეველია. გამომდინარე იქიდან, რომ გამგეობები ინფორმაციას სრულად არ გვაწვდიან, ჩვენ მთავარ პროკურატურას მივმართავთ განცხადებით. იმედია, ისინი დაინტერესდებიან ამ საქმით. ეს არის მასშტაბური კორუფცია და ამ გზით მარტო თბილისში 2 მილიონზე მეტი მიდის გაურკვეველი მიმართულებით, – აცხადებს „ახალი საქართველოს" წარმომადგენელი.

მისი ინფორმაციით, ერთჯერადი თახმარებები ძირითადად არჩევნების წინა პერიოდში გაიცემა.

– გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ თანხებს გამგეობები თავიანთ მხარდამჭერებზე, კოორდინატორებზე და ქუჩის მხარდამჭერებზე გასცემენ. მაგალითად, უბანში ბიჭებს ფანჩატურში ქეიფი მოუნდებათ. მივლენ გამგეობაში და განცხადებას დაწერენ. გამგეობა მათ ამ ფულს აძლევს. მე არ მესმის, რატომ უნდა ფინანსდებოდეს ვიღაცის ქეიფი ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან. საგამოძიებო უწყებას ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას გადავცემთ და ახლა პროკურატურამ გაარკვიოს, სად წავიდა, სულ მცირე, 2 მილიონი, – აღნიშნა ჭალიძემ.

მისი თქმით, ყველაზე მეტი თანხა კრწანისის გამგეობას აქვს გაცემული. ჭალიძე ვარაუდობს, რომ ერთჯერადი დახმარებების გაცემის კუთხით მთელს საქართველოში ისეთივე სურათი იქნება, როგორიც თბილისშია.

# გია ჟორჟოლიანი „ქართულ ოცნებას“ ტოვებს?

გულიკო ბალაძე

## „94-ე მუხლის არსებული ფორმით დატოვება მიუღებელია“

დატოვებს თუ არა პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატები“ „ქართულ ოცნებას“ და წარმოგვიდგება თუ არა კონსტრუქციულ ოპოზიციად? რას ნიშნავს სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ბრძოლა პარლამენტში?

ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ ლიდერი გია ჟორჟოლიანი და წევრები ბექა ნაცვლიშვილი და კობა ნარჩემაშვილი, მიუხედავად იმისა, საკონსტიტუციო ცვლილებებს ხმა მისცეს, უკმაყოფილო არიან კონსტიტუციაში 94-ე მუხლის დატოვებით.

გია ჟორჟოლიანი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ იბრძოლებენ 94-ე მუხლის გაუქმებისთვის და არ გამორიცხავს პოლიტიკურ ბრძოლასაც.

– მოქმედებას ვაპირებთ და შეიძლება პოლიტიკურ ბრძოლაც. 94-ე მუხლის გაუქმებაც გვინდა და კანონმდებლობის შეცვლაც, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების აქტის სახელით არის ცნობილი, – აღნიშნავს გია ჟორჟოლიანი.

ჩვენს კითხვაზე, პოლიტიკური ბრძოლა რას ნიშნავს? უმრავლესობას ხომ არ გამოეყოფით კონსტრუციული ოპოზიციის სახით? გია ჟორჟოლიანმა გვიპასუხა:

– უახლოეს ხანში ჩვენს სამოქმედო გეგმებს გავაცნობთ ფართო საზოგადოებას.

ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანმა და ფრაქციის წევრებმა ბექა ნაცვლიშვილმა და კობა ნარჩემაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართეს.

გია ჟორჟოლიანს მიაჩნია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები წინ გადადგმული ნაბიჯია. მოქმედ რედაქციასთან შედარებით ბევრი მიმართულებით გაუმჯობესებული პროექტია, რის გამოც ფრაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკონსტიტუციო ცვლილებებს.

– საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დავუჭირეთ, რადგან უდავოა, იგი მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით გაუმჯობესდა ბევრი თვალსაზრისით: მმართველობის სისტემის, სასამართლოს, მიწის ფლობის, ადამიანის უფლებათა საკითხებზე ახალი ჩანაწერები, წარმოდგენილი ჩვენი პარტიის თუ სხვათა მიერ, კონსტიტუციას ბევრად დაახლოებულს ხდის საზოგადოებასთან და ხალხის ინტერესებთან, – განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.



გია ჟორჟოლიანი კონსტიტუციის 94-ე მუხლის გაუქმებას მოითხოვდა და მომავალშიც ამ კუთხით მოქმედებას. მათ შორის, პოლიტიკურ ბრძოლასაც არ გამორიცხავს.

– 94-ე მუხლის არსებული ფორმით დატოვება მიუღებლად მიგვაჩნია, რადგან იგი ეჭვქვეშ აყენებს პარლამენტის მიერ მისი ძირითადი ფუნქციის განხორციელებას – წარმომადგენლობით კანონშემოქმედებასა და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრას. ამიტომ ვთვლით, რომ არ არსებობს მიზეზი ამ ცვლილების გადადებისთვის, – აცხადებს გია ჟორჟოლიანი.

***– ბატონო გია, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები ორი მოსმენით მიიღო. თქვენ 94-ე მუხლის კონსტიტუციიდან ამოღებას მოითხოვდით. თუმცა, უმრავლესობამ თქვენი პოზიცია არ გაიზიარა. თქვენ განაცხადეთ, რომ ეს არის სააკაშვილის რეჟიმის მიერ შექმნილი ეკონომიკური და მმართველობის პოლიტიკის ინერცია. რატომ ფიქრობთ, ასე?***

– ეკონომიკური თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა სააკაშვილმა მიიღო. მან მიიღო კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, შესაბამისი მუხლი კონსტიტუციაშიც შეიტანა და ქარტიაც მიიღო.

***– უმრავლესობამ თქვენი პოზიცია რატომ არ გაიზიარა?***

– გაიზიარა ნაწილობრივ. ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე მთლიანი ცვლილება შეიძლებოდა არ ყოფილიყო ხელსაყრელი ინვესტიციებისთვის. მე მიმაჩნია, რომ ეს არანაირად არ შეუშლიდა ხელს ინვესტიციებს. არც ერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე ამაზე კონსტიტუციური ჩანაწერი არ არსებობს.

***– თუ ინვესტიციებს ხელს არ უშლიდა, მაშინ რატომ არ გაიზიარეს?***

– მე ასე ვამბობ, მაგრამ ვიღაც ფიქრობს, რომ ასე არ არის. ორმა ძალიან ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ (სხვას რომ თავი დავანებოთ) ვენეციის კომისიამ და სავალუტო ფონდმა უთხრეს, ამოიღეთო. სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი არის არჩევითი საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო საფინანსო დახმარებებს გვიწევს. ამიტომ 94-ე მუხლის კონსტიტუციაში დატოვება არის შეცდომა და ინერცია, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკიდან მომდინარეობს. ჩვენ უკვე ვნახეთ, ეს კანონი რაოდენ უვარგისია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაუმჯობესებისათვის. ვიღაცას მიაჩნია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენ 94-ე მუხლი გვჭირდება. მე მიმაჩნია, რომ ეს არის აბსოლუტურად არაადეკვატური შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ჩვენს ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უშლის სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური განვითარების აქტიურ მონაწილეს, განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.

***– ამ მუხლის დატოვება იმითაც ხომ არ იყო განპირობებული, რომ მიწის უცხოელებისთვის მიყიდვაზე უარი თქვეს? ეს რაღაც მაკომპენსირებელი ნაბიჯი ხომ არ იყო? მიწის გაყიდვის აკრძალვაზეც ამბობდნენ, ინვესტიციების შემოსვლას შეამცირებსო.***

– არა. როგორც აღვნიშნე, სავალუტო ფონდმა და ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ შეიძლებოდა კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის ამოღება, რაც მიწის საკითხთან არ არის დაკავშირებული. მათ შორის ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ.

***– ამ კუთხით კიდევ აპირებთ ბრძოლას?***

– რა თქმა უნდა, მოქმედებას ვაპირებთ და შეიძლება პოლიტიკურ ბრძოლაც. ამ მუხლის გაუქმებაც გვინდა და კანონმდებლობის შეცვლაც, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების აქტის სახელით არის ცნობილი.

***– პოლიტიკური ბრძოლა რას ნიშნავს? უმრავლესობას ხომ არ გამოეყოფით კონსტრუქციული ოპოზიციის სახით?***

– უახლოეს ხანში ჩვენს სამოქმედო გეგმებს გავაცნობთ ფართო საზოგადოებას.

***– მაინც არ გვეტყვით, რა არის ამ მხრივ მოსალოდნელი?***

– გეგმები კარგად უნდა დავსახოთ და სისტემა უნდა წარმოგიდგინოთ. დასამალი არაფერია, მაგრამ დროა საჭირო, რომ ამას მივცეთ მიზანმიმართული, გეგმაზომიერი ხასიათი და ფართო საზოგადოებას ჩვენი გეგმები გავაცნოთ.

***– თუმცა, ამ კუთხით გარკვეულ პარტიულ გადაწყვეტილებებს არ გამორიცხავთ?***

– როგორც გითხარით, ჩვენი გეგმების შესახებ გაცნობებთ და ვაცნობებთ ფართო საზოგადოებას.

კონსტიტუციის 94-ე მუხლი სავალდებულო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას ეხება კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

გადასახადებისაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით, რომელიც ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას. ეს ნორმა ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

ასევე საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით, არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში, გადასახადის განაკვეთის ცვლილება.

ეს ნორმა ამოქმედდა 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. სწორედ ამ მომენტიდან შევიდა ძალაში ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც ქვეყანამ უარი თქვა ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობაზე.

## სასჯელაღსრულების სამინისტრო: „ირაკლი ჩხვირკიას ადვოკატის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ ირაკლი ჩხვირკიას ადვოკატის, გოგი ონიანის მიერ გავრცელებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება.

– საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განმარტავს, რომ ბრალდებული ი. ჩ. მე-6 დღეა შიმშილობს და ის, როგორც მოშიმშილე პატიმარი, საკანში მარტო იმყოფება. ამასთან, ი. ჩ. -ს საკანი, მისივე მოთხოვნის საფუძველზე ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ არის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო აცხადებს, რომ ბრალდებულ ი. ჩ- ს მიმართ დაცულია ყველა ის ნორმა, რაც მოქმედებს მსჯავრდებულის შიმშილობის პერიოდში. კერძოდ, ბრალდებული იმყოფება სამედიცინო პერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში.

ირაკლი ჩხვირკიას ადვოკატის, გოგა ონიანის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის საკანში „გაუსაძლისი მდგომარეობაა“.

როგორც ონიანმა განაცხადა, საკანში ოთხის ნაცვლად ექვსი პატიმარი იმყოფება და „ერთ საწოლზე ორი ადამიანი წვება“.

# მუხთარლის მედიკამენტების მიღება და ხალხთან შეხვედრა აუკრძალეს

## ევროსასამართლომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას მუხთარლის საქმეზე შეკითხვები გამოუგზავნა

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე დღის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. შეხვედრაზე დახურულ კარს მიღმა თბილისიდან გაუჩინარებული და შემდეგ აზერბაიჯანში დაკავებული ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის საქმეზე იმსჯელეს. ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გამოძიების შედეგებს ორ კვირაში გამოამზეურებს. შეხვედრის შემდეგ „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა განაცხადეს, რომ მუხთარლის გაუჩინარებასთან საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს არანაირი კავშირი არ აქვთ.

დღეისათვის ბაქოს წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფ აფგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა. მისი აზერბაიჯანელი ადვოკატი – ელჩინ სადიგოვი აცხადებს, რომ ჟურნალისტს შაქარი აქვს მომატებული. ამის მიუხედავად, მასთან არ შეაქვთ მედიკამენტები არც დიაბეტის, არც გულის სამკურნალოდ. კარდიოლოგმა დაკავებულს წამლები გამოუწერა, თუმცა მუხთარლის არც მედიკამენტებს აძლევენ და არც გამოწერილ რეცეპტებს.

პოლიტპატიმრად შერაცხულ მუხთარლის ხალხთან შეხვედრაც აუკრძალეს. იმის გამო, რომ ოჯახი თბილისში ჰყავს, მასთან პირდაპირი ურთიერთობა მინდობილობით უნდა დაემყარებინათ სხვა პირებს. ამის საშუალებას კანონი იძლევა, თუმცა მუხთარლისთან კომუნიკაცია აიკრძალა.

როგორც ცნობილია, მუხთარლის საკითხზე 15 ივნისს რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმა. ევროდეპუტატებმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, გამოიძიოს მუხთარლის საქმე. აზერბაიჯანის ხელისუფლებას კი მიმართეს, გაათავისუფლოს მუხთარლი და უკანონოდ დაკავებული სხვა პირები.

29 მაისს თბილისიდან გაუჩინარებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეში ჩართულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც. სტრასბურის სასამართლომ აზერბაიჯანელი ადვოკატების საჩივრის განხილვა უყოყმანოდ დაიწყო, შესაბამისი შეკითხვებით მიმართა აზერბაიჯანის ხელისუფლებას და აზერბაიჯანისგან პასუხებიც მიიღო.

საჩივრების შეტანა აზერბაიჯანშიც გრძელდება. იქ ამ საქმეს აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურა იძიებს. აზერბაიჯანის პროკურატურის ვერსიით, მუხთარლიმ დაარღვია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი და წინააღმდეგობა გაუწია აზერბაიჯანელ მესაზღვრეს,



მას თან ჰქონდა კონტრაბანდული ფული.

დაცვის მხარემ ამაზე საჩივარი ჯერ რაიონულ სასამართლოში შეიტანა, შემდეგ – ბაქოს სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, ამით ვერაფერს მიაღწია.

დაცვას უარი უთხრეს საზღვარზე დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვაზე და ორი ექსპერტიზის ჩატარებაზე. გამოძიება აზერბაიჯანში თავის პოზიციას არ ცვლის, რაც ოპონენტების პროტესტს იწვევს.

– მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მუხთარლი თბილისის ცენტრიდან გაიტაცეს და აზერბაიჯანს გადასცეს. ამ საკითხზე რეზოლუცია მიიღო ევროპარლამენტმაც, – აღნიშნავს აზერბაიჯანის პარლამენტის ყოფილი სპიკერი ისა გამბარი.

პოლიტიკოსი გამოძიების ვერსიას ბოდვას უწოდებს.

– მუხთარლიმ საზღვარი კი არ დაარღვია, ის თბილისიდან გაიტაცეს. ახლა უნდათ სერიოზული გამოძიების იმიტაცია და ამიტომ იგონებენ ვერსიას, – აღნიშნავს ისა გამბარი.

აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურა მუხთარლის შესახებ პუბლიკაციებზეც რეაგირებს. მან გაფრთხილება მისცა პორტალ „ბასტაინფო“-ის მთავარ რედაქტორ მუსტაფა განჯიბეილის. მისი მასალა კანონმდებლობის დარღვევად შეფასდა.

განჯიბეილიმ მოიყვანა „ევროპული საქართველოს“ წევრის, გივი თარგამაძის ციტატა. მასში საუბარია იმაზე, რომ მუხთარლის აზერბაიჯანისათვის გადაცემა ერთმა აზერბაიჯანელმა ოლიგარქმა დაუკვეთა.

# „დღეს საქართველოს ფინანსური სისტემა და კანონმდებლობა მორგებულია კომერციულ ბანკებზე“

ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის ახალი რეგულაციების დაწესებას გეგმავს. შესაბამისი კანონპროექტი უკვე პარლამენტშია შესული, რომლის მიხედვით მიკროსაფინანსოების საწესდებო კაპიტალი მომავალი წლიდან ნახევარ მილიონ ლარამდე, 2019 წლიდან კი 1 მილიონ ლარამდე გაიზრდება.



ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განცხადებით, ორგანიზაციები, რომლებიც ბაზარზე არიან, ფინანსურად სტაბილურები უნდა იყვნენ და ნორმალურად შეძლონ ფუნქციონირება. სპეციალისტების ნაწილის შეფასებით კი „ეროვნული ბანკის“ მიერ მომზადებული ცვლილებები ზედმეტად მკაცრია. დავით კიკვიძის თქმით, არის საფრთხე, რომ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა შეიზღუდოს.

– მიკროსაფინანსოების ბაზარი დიდი ხანია მოსაწესრიგებელია, კანონმდებლობა დასახვეწია, თუმცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ ასეთი მკაცრი მოთხოვნების წაყენება ფინანსურ ბაზარზე, ხელმისაწვდომობაზე აისახება. დღეს საქართველოს ფინანსური სისტემა და კანონმდებლობა გარკვეულწილად მორგებულია კომერციულ ბანკებზე, რაც უარყოფითი მოვლენაა და არ არის სწორი, – აცხადებს კიკვიძე.

მისივე თქმით, რეგულირების კუთხით ფრთხილი ნაბიჯები უნდა იყოს გადადგმული, რომ მომხმარებელს ჰქონდეს ალტერნატივა, საიდან აიღოს სესხი, კომერციული ბანკიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან თუ ონლაინ სესხების კომპანიებიდან.

სპეციალისტის განმარტებითვე, ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკი და მთავრობა ცდილობს ბიზნესსუბიექტებს დაუწესოს რეგულაცია და ამ რეგულირების საშუალებით დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, რაც კიკვიძის აზრით, არაა სწორი, რადგან საჭიროა ფინანსური განათლების დონის ამაღლებაზე მუშაობა. ეს კი საბოლოო ჯამში მიგვიყვანს იქამდე, რომ მომხმარებელი გახდება წინდახედული.

ექსპერტის გაცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებულია იმით, რომ მაღალია ფულზე მოთხოვნა და ბაზარი ცდილობს დააკმაყოფილოს ის. ამასთან, მისივე თქმით, ახალი რეგულაციების ფონზე ბევრ კომპანიას გაუჭირდება მოთხოვნების დაკმაყოფილება, ზოგი გადაწყვეტს შერწყმას და ეს გამოიწვევს კონკურენციის შემცირებას.

კიკვიძე ონალაინ სესხების კომპანიებისთვის რამდენიმე თვის წინ დაწესებულ რეგულაციებსაც იხსენებს და მიიჩნევს, მთავრობამ ცუდი კანონმდებლობა მიიღო.

– დღეს ბაზრის უმსხვილესი ორგანიზაციები იხურება, ნაწილი კომპანიების მინიმალური თანამშრომლებით რჩება ბაზარზე და ორიენტირებული არიან პორტფელის ამოღებაზე. ჩემი მოსაზრება თავიდანვე იყო, რომ კონკრეტული კანონმდებლობა უნდა შეემუშავებინა ეროვნულ ბანკს, რომ სამუშაო გარემო ყოფილიყო დარეგულირებული კანონმდებლობის ფარგლებში და არა კანონმდებლობის გამკაცრება, რამაც გამოიწვია კომპანიების მიკროსაფინანსოებად გარდაქმნა, – აცხადებს კიკვიძე.

ექსპერტი დასძენს, რომ სამომავლო პერსპექტივაში დიდი ალბათობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა იმდენად შემცირდება, რომ ბაზარი მოკვდება და მომხმარებელი მხოლოდ კომერციული ბანკების ალტერნატივის წინაშე იქნება – რაც ცუდია, რადგან აღმოჩნდება, რომ ფინანსურ რესურსებს მხოლოდ კომერციული ბანკები განკარგავენ.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, აპრილის მდგომარეობით საქართველოში 88 მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა.

# თემურ ჭყონია: „შურით ვერ მოიგებ, შრომით უნდა მოიგო“

– ბიზნესმენისთვის ეს პრესტიჟი უნდა იყოს, – ასე ეხმაურება ბიზნესმენი თემურ ჭყონია ევროდირექტივას, რომელიც ბიზნესს 2018 წლის ოქტომბრიდან ფინანსური ანგარიშების გასაჯაროების ვალდებულებას აკისრებს. ჭყონიას განცხადებით, ის მზად არის ფინანსური ანგარიშების დეკლარირება დღეიდან დაიწყოს.

მისი განმარტებით, ვინც ბიზნესს აწარმოებს, ნებისმიერი ადამიანი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ მისი ბიზნესი იყოს გამჭვირვალე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იგრძნოს ბიზნესმენის უდიდესი როლი ეკონომიკის ფორმირების პროცესში. როგორც ჭყონია განმარტავს, პროცესი როდესაც გამჭვირვალე გახდება, ბიზნესმენს სახელმწიფო კიდევ უფრო მეტად დააფასებს.

– გამოაქვეყნოს ნებისმიერმა ბიზნესმენმა, რა შემოსავლები აქვს, რითი მოღვაწეობს და ეკონომიკაში რა როლს თამაშობს. ეს სავალდებულო და ბიზნესმენისთვის პრესტიჟულიც უნდა იყოს. დეკლარირების შემდეგ სახელმწიფოს მეტი პატივისცემა გაუჩნდება იმ ხალხის მიმართ, ვის კისერზე, ჭკუაზე და შემოქმედებაზე დგას ყველა ქვეყნის ეკონომიკა. საქართველო თუ მდიდარია, ეს ბიზნესმენების დამსახურებაა, – აცხადებს ჭყონია.

მისი განცხადებით, კონკურენტი ბიზნესმენი კონკურენტი კომპანიის ციფრს რომ ნახავს, მოტივაცია გაუჩნდება იმის, რომ მეორეს გაასწროს. „იქნება დიდი შურიც, მაგრამ შურით ვერ მოიგებ, შრომით უნდა მოიგო„ – აცხადებს ჭყონია.

როგორც ცნობილია, მსხვილმა კომპანიებმა, 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე, ფინანსთა სამინისტროს ახლად გახსნილ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურში“ აუდიტორული კომპანიების მიერ წარმოებული ფინანსური ანგარიშგება უნდა წარადგინონ, რის შემდეგაც აღნიშნული სამსახური კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას სპეციალურად შექმნილ ვებ-პორტალზე გამოაქვეყნებს.

შედეგად, კომპანიების შესახებ ნებისმიერი სახის ფინანსური ინფორმაცია (შემოსავლები, მოგება და სხვა) ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.



საშუალო და მცირე ზომის კომპანიებს კი ფინანსური ინფორმაციის ზედამხედველობის სამსახურისთვის მიწოდებისა და შემდეგ გასაჯაროების ვალდებულება 2019 წლის პირველ ოქტომბრამდე ექნებათ, თუმცა ამ შემთხვევაში დაიშვა გამონაკლისი და გარკვეული სახის ინფორმაცია კვლავ კონფიდენციალური დარჩება.

კანონის მიხედვით, კომპანიები ზომის და ფუნქციის მიხედვით ხუთ კატეგორიად დაიყოფიან და მათ ფინანსური მაჩვენებლების გამოქვეყნების განსხვავებული მოთხოვნები დაუდგინდებათ. კომპანიებს, რომელთა შემოსავალიც 100 მილიონს აღემატება და რომლებშიც 250-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, ყველაზე დეტალური ანგარიშების გამოქვეყნება მოუწევთ.

კანონის მიხედვით კომპანიების დაჯგუფება ასე გამოიყურება:

1. კატეგორიის საწარმო – წლიური შემოსავალი აღემატება 100 მილიონ ლარს, აქტივების ღირებულება აღემატება 50 მილიონ ლარს, დასაქმებული ჰყავს 250-ზე მეტი თანამშრომელი.

2. კატეგორიის საწარმო – წლიური შემოსავალი 20-100 მილიონი ლარი, აქტივების ღირებულება 10-50 მილიონი ლარი, დასაქმებულთა რაოდენობა 250-ზე ნაკლები.

3. კატეგორიის საწარმო – წლიური შემოსავალი 2-20 მილიონი ლარი, აქტივების ღირებულება 1-10 მილიონი, დასაქმებულთა რაოდენობა 10-50 ადამიანი.

4. კატეგორიის საწარმო – 2 მილიონ ლარამდე, აქტივების ღირებულება 1 მილიონ ლარამდე, თანამშრომელთა რაოდენობა 10-მდე.

5. კატეგორია – საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ) – კომერციული ბანკები, სადაზღვევოები, საფონდო ბირჟაზე არსებული კომპანიები, მიკროსაფინანსოები.

# საჯარო სამსახურში ხელფასისა და დანამატის გაცემის ახალი წესის ამოქმედება შესაძლოა, გადავადდეს



2017 წლის 1-ელი ივლისიდან საჯარო დაწესებულებებში ხელფასის, დანამატისა და პრემიის გაცემის წესი ამ დროისთვის დამტკიცებული არ არის. ივლისიდან ამოქმედდება ახალი კანონი, რომელიც შრომის ანაზღაურების გაცემის მოქმედ წესს ფაქტობრივად აუქმებს.

– იმის გამო, რომ საჯარო მოხელეები ივლისიდან ხელფასის გარეშე არ დარჩენილიყვნენ, შევიმუშავეთ ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“, რაც მეორე-მესამე მოსმენით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ამ კვირაში გადის. ამ ცვლილებებით, გარდამავალ დებულებებში გაწერილია, თუ რა წესით გაიცეს 2017 წლის ივლისიდან-იანვრამდე ხელფასები, დანამატები და პრემიები, – განაცხადა „ბათუმელებთან“ სატელეფონო საუბარში საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილემ, თეიმურაზ ჩიხრაძემ. მისივე თქმით, გარდამავალ პერიოდში ივლისი-იანვარი სახელფასო დანამატები და პრემიები ძირითადად იმავე პრინციპით გაიცემა, როგორც დღეს.

2017 წლის 1-ელი ივლისიდან ძალაში შედის კანონი, რომლის მიხედვითაც საჯარო სამსახურში დასაქმებულები საკლასო დანამატებს აიღებენ და არა დღეს არსებულ დანამატებსა და პრემიებს. მოხელის საკლასო დანამატის ოდენობა კი უნდა განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ასევე არ არის მიღებული.

საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის პროექტი საჯარო სამსახურის ბიურომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად შეიმუშავა და თეიმურაზ ჩიხრაძის თქმით, ის უახლოეს მომავალში წარედგინება ქვეყნის მთავრობას.

– მთავრობის მიერ პროექტის მოწონების შემთხვევაში კი, ის, როგორც საკანონმდებლო ინიციატივა, წარედგინება საქართველოს პარლამენტს. თუმცა იგეგმება, რომ კანონი 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდეს, იმიტომ, რომ ეს მაინც მიბმულია ბიუჯეტის შესახებ კანონზე და მომავალი წლის ბიუჯეტიც შესაბამისად დაიგეგმება, – აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე.

# როდის შევა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ექსპლუატაციაში?

– თურქეთმა თითქმის დაასრულა პროექტის რეალიზაცია თავის ტერიტორიაზე, თუმცა პრობლემა არის მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთზე, სადაც ჩამოწვა მეწყერი, – ამის შესახებ განცხადება თურქეთის კომუნიკაციების მინისტრმა ახმეტ არსლანმა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე საპასუხოდ გააკეთა.



როგორც სააგენტო „ტრენდი“ წერს, სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებით ზუსტი თარიღი ცნობილი 5 ივლისს გახდება. როგორც აზერბაიჯანის რკინიგზის თავმჯდომარემ ჯავიდ კურბანოვმა განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყარსში სამი ქვეყნის სარკინიგზო უწყებების ხელმძღვანელების შეხვედრაც გაიმართება.

– ჩვენ შევაფასებთ პროექტის რეალიზაციას და ალბათ, შევძლებთ მარშრუტის ამუშავების თარიღის გამოცხადებას. ეს ალბათ, 2017 წელს მოხდება, – თქვა გურბანოვმა. უფრო ადრე კი ახმეტ არსლანმა ექსპლუატაციაში შესვლის თარიღად 2017 წლის ივლისი დაასახელა.

რა პრობლემაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე? რა ადგილას ჩამოწვა მეწყერი და როდის აღმოიფხვრება აღნიშნული პრობლემა, ამის შესახებ „კომერსანტი“ დეტალებს არკვევს და მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

როგორც ცნობილია, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას საფუძველი აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის ინიციატივით ჩაეყარა. პროექტის განხორციელება კი საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა 2007 წელს დაიწყეს. პროექტის განხორციელება ორ ეტაპად არის დაგეგმილი. პირველ ეტაპზე რკინიგზის საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 5 მილიონ ტონა ტვირთს შეადგენს, ხოლო შემდეგ მოცულობის 15 მილიონ ტონამდე გაზრდაა გათვალისწინებული. ამასთან, თითოეული მატარებელი 350 მგზავრს მოემსახურება. პროექტის მიხედვით, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე 825 კილომეტრია, აქედან 180 კილომეტრს ქართული მონაკვეთი შეადგენს.

# აკაკი ზოიძე: „როცა ყოველდღე გეუბნებიან იმას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, შეიძლება ეს დაიჯერო კიდეც“

– ოთხი წლის თავზე ჩვენ თვისობრივ ცვლილებამდე მივალთ და ამისთვის ყველა ფუნდამენტი დღევანდელი მდგომარეობით ჩაყრილია, – განაცხადა „ეისითის“ მიერ ჩატარებულ კვლევაზე კომენტირებისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი ზოიძემ. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას აკაკი ზოიძე აცხადებს, ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებელი უკეთესობისკენ იცვლება.

– თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ხალხის კეთილდღეობა, – სწორედ ეს იყო ის მთავარი დაპირებები, რაც „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ გააჟღერა. არჩევნებიდან 8 თვის თავზე კი თბილისელი მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყანა ფინანსური კრიზისის საფრთხის წინაშეა. „ეისითის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 92% ფიქრობს, რომ ქვეყანა ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე უკვე დგას.

– ძირითადი მიზეზი ამ ყველაფრის აღქმასა და რეალობას შორის განსხვავებაა. რეალურად ეკონომიკური ზრდა გვაქვს და არა კრიზისი. მედიასივრცისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან რეალობა ხშირ შემთხვევაში გამრუდებულია. როდესაც ყოველდღე გეუბნებიან იმას, რომ ქვეყანაში გაჭირვება და ეკონომიკური კრიზისია, შესაძლოა, ეს დაიჯერო კიდეც. ძვრები ძალიან სასიკეთოა და მთლიანობაში ეკონომიკური სურათი აჩვენებს იმას, რომ ჩვენ სიტუაცია უკეთესობისკენ გვეცვლება.

ოთხი წლის თავზე ჩვენ თვისობრივ ცვლილებამდე მივალთ და ამისთვის ყველა ფუნდამენტი დღევანდელი მდგომარეობით ჩაყრილია. დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომელმაც ზრდა უნდა მოიტანოს, ასევე გაზრდილია ექსპორტი და ტურიზმი. რეალურად დადებითი პოზიტიური ცვლილებები გვაქვს, თუმცა ამის თვისობრივ ცვლილებაში გადასვლას დრო სჭირდება, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

## სენაკში ყაჩაღობის ფაქტზე ერთი პირი შემთხვევის ადგილზე დააკავეს




შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1967 წელს დაბადებული ზ. შ. ყაჩალობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 25 ივნისს, ქ. სენაკში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ერთ-ერთი ელექტროტექნიკის მაღაზია დაააყაჩაღა. ყაჩალობის ფაქტს შეესწრო საპატრულო ეკიპაჟი. პატრულ-ინსპექტორებმა ირაკლი მარღანიამ და ვეფხვია სიჭინავამ მყისიერად მოახდინეს რეაგირება, განახორციელეს გაქცეული ზ.შ.-ს დევნა და იგი შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე მეტრში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, „ა-კა-ემ"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 50 საბრძოლო ვაზნა, „ეფ-1"-ის ტიპის მსხვრევადი ხელყუმბარა და დანა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების და ყაჩალობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 179-ე მუხლით).

## ირაკლი ფირცხალავას განცხადებაზე გამოძიება დაიწყო

2017 წლის 25 ივნისს, საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მოწმეზე განხორციელებული შესაძლო ზემოქმედების ფაქტზე:

– გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის განცხადება, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ მასზე, როგორც ბრალდების მხარის მოწმეზე, მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას მხრიდან ხორციელდება მიზანმიმართული ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ასევე მისი დისკრედიტაცია და პატივისა და ღირსების შელახვა, რაც მიზნად ისახავს გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეზე სასამართლოში მის მიერ მიცემული ჩვენების შეცვლას.



გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. საქმეზე ტარდება სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. გამოძიების შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## შსს–მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ზ.გ. 1982 წელს დაბადებული ჯ.კ. და 1992 წელს დაბადებული ჯ.მ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, კოჯორში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, ვალტერის სისტემის პისტოლეტი, მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 19 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

## შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილი გივი თარგამაძეზე თავდასხმაში რაიმე მონაწილეობას უარყოფს

შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილი გივი თარგამაძეზე თავდასხმაში რაიმე მონაწილეობას უარყოფს. როგორც ჭიჭიაშვილმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში განაცხადა, გივი თარგამაძის ბრალდებები მის მიმართ არის ცილისწამება.

– უსამართლობის გრძნობა მიპყრობს და, რა თქმა უნდა, ვბრაზობდი კიდეც, ეს ხომ ჩვეულებრივი, ადამიანური მომენტია. რამის დაბრალება ყველანაირი საფუძვლის გარეშე უსამართლობაა და ასე არ შეიძლება. მე გივი თარგამაძის აფეთქების საქმეში არც პირდაპირი, არც ირიბი კავშირი არ მაქვს. არც შეიძლება მქონოდა. მე ამ ადამიანს არც ვიცნობ, არც არანაირი კვეთა არ მქონია მასთან, არც მტერია და არც მოყვარე, ნეიტრალურად ვარ განწყობილი მის მიმართ. ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო, – განაცხადა ჭიჭიაშვილმა.

მისივე თქმით, დიმიტრი აბრამიშვილი სპეციალურად არის ნახსენები, რომ მასთან მოხდა დაკავშირება.

– რატომ გაუღერდა მაინცდამაინც დიმიტრი აბრამიშვილი?! იმიტომ, რომ ყოფილიყო რგოლი ჯაჭვში, რომელი ჯაჭვიც ჩემზე გამოიყვანდა. თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მე დამირეკა თუ ჩემს ნათესავებს მაგ ხალხმა, მაგრამ ეს იძლევა იმის საშუალებას ამტკიცოთ, რომ ყველაფრის თავი და ორგანიზატორი მე ვარ?! – აცხადებს ჭიჭიაშვილი.



რაც შეეხება პიტერ შოუს, არანაირი კავშირი, არც პირდაპირი არც ირიბი, მის გატაცებასთან არ მაქვს. წითელი ჯვრის წარმომადგენლები მე გავათავისუფლე, გადავარჩინე სიკვდილს. მათ გატაცებაში არანაირი წვლილი არ მიმიძღვის. რაც შეეხება ესპანელ ბიზნესმენებს და პეტრე ცისკარიშვილს – კი და მე ამის გამო სასჯელი მოვიხადე.

მან ასევე ისაუბრა მის მიმართ ბრალდებებზე სხვა საქმეებთან დაკავშირებით.

– დეპუტატი გივი თარგამაძე აცხადებს, რომ ბრალდებული დარჩო ხეჩუაშვილის ბლოკნოტში, რომელშიც სამიზნის, ანუ გივი თარგამაძის, საცხოვრებელი ბინის მონახაზი იყო გაკეთებული, ასევე ჩაწერილი იყო რამდენიმე მისამართი. დეპუტატი ამბობს, რომ გამოძიება ამ მისამართებით არ დაინტერესებულა, – აღნიშნა ჭიჭიაშვილმა.

მისი თქმით, სამართალდამცველების მიერ ამოღებული ვიდეოჩანაწერიდან კიდევ ერთი პირის – წარსულში არაერთხელ ნასამართლევი დიმიტრი აბრამიშვილის, თანამონაწილეობა იკვეთება.

ტელეკომპანია რუსთავი 2 11 ივნისს გასულ სიუჟეტში მიუთითებს: „ცნობილია, რომ დიმიტრი აბრამიშვილი, მეტსახელად ბარადა, ოთხმოცდაათიან წლებში პანკისის ხეობაში მოქმედი და ჭიჭიაშვილ-ცისხისთავის სახელით ცნობილი ასკაციანი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ირკვევა, რომ გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობაში მონაწილე სამივე ადამიანს – დიმიტრი აბრამიშვილის, დარჩო ხეჩუაშვილისა და ბორის ჩაგუნავას, მუხროვანის პირველ ამბოხი აერთიანებთ. თუმცა, სამივე მათგანი მაშინაც და ახლაც მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ.

გივი თარგამაძე ქართულ ძალოვან უწყებას დიმიტრი აბრამიშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყებისკენ მოუწოდებს.

## ლალი აფციაური ირაკლი მამალაძეს დაიცავს




– საქმეში ჩავერთე, როგორც ირაკლი მამალაძის ინტერესების დამცველი, ინფორმაცია გამოვითხოვე გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, – ამის შესახებ ჟურნალისტ ირაკლი მამალაძის ადვოკატმა ლალი აფციაურმა განაცხადა, რომელმაც თბილისის პროკურატურაში ორდერი წარადგინა.

ლალი აფციაურმა ორდერი წარადგინა, რათა მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში, რომელიც ეხება ირაკლი მამალაძის მიმართვას პროკურატურისადმი ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომლის ირაკლი ფირცხალავას წინააღმდეგ.

– ირაკლი მამალაძემ პროკურატურაში შეიტანა განცხადება მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტზე. გუშინ დამიკავშირდა, ჩავერთე ამ საქმეში, როგორც მისი ინტერესების დამცველი. დღეს გამოვითხოვე ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე, პროკურატურამ დაიწყო თუ არა გამოძიება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. წარვადგინე ორდერიც, რათა კანონით დადგენილი წესით მივიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში თუკი ეს საჭირო გახდება, თუკი დაიწყება გამოძიება, – განაცხადა ლალი აფციაურმა.

მისივე თქმით, ირაკლი მამალაძის განცხადება ეხება „კურიერში" გასულ ინფორმაციას.

– ირაკლი მამალაძის განცხადება შეტანილია „კურიერში" გასულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ინფორმაცია გავრცელდა მსჯავრდებულ ირაკლი ფირცხალავას მიერ გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, რა თქმა უნდა, აბსურდული ბრალდებების საფუძველზე. მამალაძემ ჩათვალა, რომ მის მიმართ განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა და ეს ასეც არის, – განაცხადა ლალი აფციაურმა.

მისი თქმით, ირაკლი მამალაძემ პროკურატურაში განცხადება გუშინ შეიტანა.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ შეიტანა ირაკლი მამალაძემ გუშინ განცხადება, როდესაც პროკურატურაში კანცელარია შაბათ-კვირას არ მუშაობს, ლალი აფციაურმა განაცხადა:

– შეიძლება პოლიციაში შეიტანა, შეიძლება პირდაპირ პროკურატურაში. პროკურატურა გინახავთ დაკეტილი? შეიძლება ვინმემ ჩაიბაროს განცხადება, როდესაც ასეთ ფაქტს აქვს ადგილი. არ ვიცი ეს დეტალები, მაგრამ ეს შენობა მე დაკეტილი არ მინახავს.

მისი თქმით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ადამიანის წინააღმდეგ გააკეთოს დაუსაბუთებელი განცხადებები.

– იმედია, დაიწყება გამოძიება. ალბათ, ბატონი ფირცხალავა კეთილს ინებებს და უკვე გამოძიებასთან ისაუბრებს გარკვეული მტკიცებულებებით, – განაცხადა ლალი აფციაურმა.

ძალოვანი უწყების ყოფილმა თანამშრომელმა ირაკლი ფირცხალავამ ე. წ. მატროსოვის ციხიდან წერილი გამოაგზავნა, რომელშიც ე.წ. ციანიდის საქმეზე პროკურატურის მთავარ მოწმეს ირაკლი მამალაძეს უსაფრთხოების სამსახურის აგენტად მოიხსენიებს. ფირცხალავას წერილი ტელეკომპანია რუსთავი 2 -მა გამოაქვეყნა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ირაკლი მამალაძემ პროკურატურაში განცხადება შეიტანა ირაკლი ფირცხალავას, რუსთავი 2-ის ჟურნალისტ თამარ ბაღაშვილის და ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის უფროს ნოდარ მელაძის წინააღმდეგ.

## „ღრმა ჭრილობა ყელის არეში, მდგომარეობა მძიმეა"

შატილის ქუჩაზე დაჭრილები საავადმყოფოში რჩებიან – როგორია 4 დაჭრილი ახალგაზრდას მდგომარეობა?

ამ დრომდე საავადმყოფოში რჩებიან გურამიშვილის გამზირზე დაჭრილი ახალგაზრდები. დაშავებულები მე-5 და მე-8 საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი. როგორც კლინიკაში „ნიუპოსტს" განუცხადეს, 4 დაჭრილი ახალგაზრდიდან ერთის მდგომარეობა მძიმეა, მას მრავლობითი ჭრილობა ყელის არესა და ზურგში აქვს მიყენებული. დანარჩენები შედარებით მსუბუქად არიან დაშავებული.



როგორც „ნიუპოსტს" თვითმხილველებმა განუცხადეს, ახალგაზრდები, რომლებიც სპორტულ ღონისძიებას ესწრებოდნენ, შენობიდან გამოსვლის შემდეგ დაჭრეს, მათგან ორი უშუალოდ შეჯიბრის მონაწილეა, ორი კი გულშემატკივარი.

როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, დაშავებულები უნივერსიტეტში მიმდინარე სპორტული ღონისძიებიდან გამოდიოდნენ, რა დროსაც მათ 2 თავდამსხმელი დაესხა თავს და ცივი იარაღით დაჭრა.

როგორც ირკვევა, დაპირისპირების დროს დაცვის თანამშრომელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაისროლა.

„აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" რექტორის ინფორმაციით, შელაპარაკება გულშემატკივრებსა და სპორტსმენებს შორის დაიწყო.

– დარბაზიდან გამოსვლისთანავე მოხდა ინციდენტი, მოხდა გასროლა, სასწრაფოდ მოხდა მათი განეიტრალება, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა, – განაცხადა დავით ჩერქეზიშვილმა.

კლინიკაში, სადაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტია მოთავსებული, აღნიშნავენ, პაციენტს სხეულის ზედა ნაწილში, მათ შორის ყელის არეში, მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდა. პაციენტი რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

– მიმღებ განყოფილებაში შემოყვანილ იქნა 2 მამაკაცი, რომლებსაც მრავლობითი ჭრილობები აღენიშნებოდათ, ერთი მათგანის ჭრილობები შედარებით მსუბუქი იყო, ამიტომ ის პირველადი დამუშავების შემდეგ ალბათ გაეწერება. მეორე პაციენტს მრავლობითი, ღრმა ჭრილობები ჰქონდა, პირველადი დახმარება მიმღებ დეპარტამენტში აღმოვუჩინეთ, გადაყვანილია საოპერაციო ბლოკში, მდგომარეობა მძიმეა, – განუცხადა ჟურნალისტებს ექიმ-რეანიმატოლოგმა ია დათუნაშვილმა.

როგორც „ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ბრალდებულების ვინაობა უცნობია.

## რექს ტილერსონი უკრაინაში ჩავა

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ აშშ-ში ვიზიტის შედეგებით კმაყოფილია. ამერიკის თავდაცვის მინისტრ მატისთან მიღწეულია შეთანხმება უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების თაობაზე. მალე ეს სათანადო ხელშეკრულებითაც გაფორმდება. ამას გარდა, უკრაინას ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონიც ეწვევა.

– ტილერსონს ივლისში ველით,– თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ეწვევიან გაეროს გენერალური მდივანი გუტერეში და ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი.



ექსპერტები თვლიან, რომ ეს სიტუაციის მოსალოდნელ გამწვავებას უკავშირდება. ივლის-აგვისტოში რუსეთი შეეცდება, შეტევაზე გადავიდეს და დაიკავოს ან დაანგრიოს მარიუპოლი. უკრაინის მთელს დანარჩენ ტერიტორიაზე ტერაქტები და დივერსიებია მოსალოდნელი.

## რუსეთში სტალინმა პუტინს რეიტინგში გაუსწრო

ყველა დროის გამოჩენილი პირების რეიტინგში პირველ ადგილზე იოსებ სტალინია. ის ყველა დროის გამოჩენილ პირად გამოკითხული რუსების 38%-მა დაასახელა. შესაბამისად, მან რეიტინგში ვლადიმერ პუტინს გაუსწრო.

კვლევითი ორგანიზაცია „ლევადა-ცენტრის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მეორე ადგილი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მწერალმა ალექსანდრე პუშკინმა დაიკავეს. მათ რესპონდენტთა ხმების 34% მიიღეს.





„ლევადა-ცენტრის" მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში რესპონდენტები არ იყვნენ შეზღუდული მხოლოდ ერთი პასუხით და ამიტომაც ყველა პასუხის ჯამი 100%-ს აღემატება.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ვლადიმერ ლენინმა 32% მიიღო, ხოლო პეტრე პირველმა – 29%.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ჩატარებულ ანალოგიურ გამოკითხვაში პირველი ადგილი ასევე იოსებ სტალინმა დაიკავა, რომელმაც მაშინ რესპონდენტთა ხმების 42% მიიღო.

## ინფორმაცია

მიმდინარე წლის 24 ივნისს გაიმართა საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აღნიშნული აკადემიის დამფუძნებლისა და სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი პრეზიდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ სერგი ავალიანის ნათელ ხსოვნას.

სხდომაზე არჩეულ იქნა აკადემიის ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა: პრეზიდენტად პროფესორი ირაკლი კალანდია, ვიცე-პრეზიდენტად პროფესორი არსენ ბურჯალიანი, ხოლო აკადემიკოს-მდივნად პროფესორი კახა ქეცბაია

## მაიკ პომპეო: რუსეთი ამერიკული დემოკრატიის დესტაბილიზაციას ცდილობდა



აშშ-ში არ წყდება აჟიოტაჟი საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის გამო. ცსს-ის ამჟამინდელი დირექტორი მაიკ პომპეო თვლის, რომ რუსეთი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ამერიკული დემოკრატიის დესტაბილიზაციას ცდილობდა.

ამავე დროს, პომპეომ აღნიშნა, რომ რუსების მიერ უშუალოდ ტრამპის დახმარებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია. მეტიც, მას არ ესმის, კრემლი ტრამპს რატომ უნდა დახმარებოდა.

– რუსეთს აშშ-ში დესტაბილიზაცია სურს და არა ხელისუფლებაში რომელიმე პოლიტიკოსის მოყვანა! – ამბობს ცსს-ის დირექტორი.

პომპეომ განაცხადა, რომ საზოგადოება რუსების განზრახვების თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა კი აშშ-ში მოქმედ რუსულ აგენტურას თვალი ფხიზლად უნდა ადევნონ. პომპეომ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთზე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ძალისმიერი ზეწოლა უნდა გაძლიერდეს.

ამავე დროს, პომპეომ განაცხადა, რომ არსებობს საკითხები, სადაც რუსეთ-აშშ-ის ინტერესები ემთხვევა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ტერორიზმთან ბრძოლას შეეხება.

– ტერორიზმი ამერიკულ სახელმწიფოს, ჩვენს თითოეულ მოქალაქეს ემუქრება! მის წინააღმდეგ ბრძოლაშიც რუსებთან თანამშრომლობა აუცილებელია, – განაცხადა პომპეომ.

## სტამბულში გეი–აღლუმი დაარბიეს



მიუხედავად სტამბულის მერიის აკრძალვისა, ცისფერების მცირე ჯგუფებმა გეი-აღლუმის ჩატარება მაინც სცადეს. შედეგი სავალალო აღმოჩნდა: პოლიციამ გეი-აღლუმი რეზინის ტყვიების გამოყენებით დაშალა.

– გეი-აღლუმი არასანქცირებული იყო. პოლიციაც კანონის ფარგლებში მოქმედებდა, – განაცხადა სტამბულის მერმა.

## ისრაელმა ასადელთა პოზიციები კვლავ დაბომბა



ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალებმა ისევ განახორციელეს დარტყმა ასადის არმიის პოზიციებზე. განადგურებულია სატვირთო ავტომობილი, რომლითაც ასადელებს საბრძოლო მასალები გადაჰქონდათ.

ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, რომ ასადის არმიამ ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით ცეცხლი გახსნა. ისრაელის ავიაციის მოქმედებაც თავდაცვით ხასიათს ატარებდა.

– ნებისმიერ აგრესიულ მოქმედებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ პასუხს გავცემთ, – თქვა ნეტანიაჰუმ.

## კოლუმბიაში გემი ჩაიძირა



კოლუმბიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ტრაგედია მოხდა. ჩაიძირა ხომალდი, რომელზედაც ტურისტები იმყოფებოდნენ. დაიღუპა 6 ადამიანი, 20 ჰოსპიტალიზებულია.

კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელმა დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. მან აღნიშნა, რომ ჩატარდება გამოძიება და ყველა, ვის გამოც ეს ტრაგედია მოხდა, დაისჯება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია:** საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

**თამარ ხარხელი:** მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია", „ზაპოი", ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სერგეი ლიტოვჩენკო: „დინამოში ყველაფერი უმაღლეს დონეზეა“

## „თბილისი არარეალურად ლამაზია“

საქართველოს ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს თბილისის დინამო. ქართული ფეხბურთის ფლაგმანს მიმდინარე სეზონში ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გაშვებული და ეს მისი მეკარის, სერგეი ლიტოვჩენკოს დამსახურებაც არის. თუმცა, მეტი რა დამსახურება უნდა იყოს – ლიტოვჩენკო ისე დამაჯერებლად თამაშობს, რომ ეროვნული ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილი სათადარიგოთა სკამზე ზის.

29 წლის უკრაინელმა ქართული კარიერა ზუგდიდან დაიწყო და იმდენად კარგი იყო გუნდში, რომელმაც ელიტა დატოვა, რომ ქვეყნის მთავარ გუნდში აღმოჩნდა...

ლიტოვჩენკო უკრაინულ მედიასთან საქართველოზე, აქაურ ფეხბურთსა და თავის თამაშზე საუბრობს.

***– როგორ აღმოჩნდი საქართველოში, თანაც, არცთუ მთლად წარმატებულ გუნდში – ზუგდიდში?***

– თავდაპირველად საქართველოში წასვლაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. დონეცკის ოლიმპიკთან კონტრაქტი 2 წლით მაკავშირებდა. სეზონის დაწყებამდე 2 კვირით ადრე წინადადება ისრაელიდან მივიღე – აშკელონის ჰაპოელი მიწვევდა. გუნდს შეკრებაზეც წავყევი და სამედიცინო შემოწმებაც გავიარე, ოლიმპიკს კი დავემშვიდობე, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ აგენტი ჰაპოელს ვერ მოელაპარაკა, რადგან თავის მომსახურებაში საკმაოდ დიდი თანხა მოითხოვა. შედეგად, ისე გამოვიდა, რომ კლუბის გარეშე დავრჩი. სასწრაფოდ რაღაც უნდა მეღონა და სწორედ მაშინ დამეხმარა ჩემი ნაცნობი ზუგდიდელი ლევან გულორდავა.

***– სათაკილო არ იყო საქართველოს არცთუ ცნობილ გუნდში გადასვლა?***

– არა. ლევანმა მითხრა: ითამაშებ ჩვენთან 3-4 თვეს და ქართული გრანდებიდან რომელიმე აუცილებლად შეგამჩნევს და წაგიყვანს. თანაც, არალიდერ გუნდში მექნებოდა სათამაშო პრაქტიკა, ასეთ დროს კი მეკარეები ყოველთვის ტონუსში არიან. ამგვარად, აგვისტოში უკვე საქართველოში ჩავედი.

***– თბილისის დინამომ როგორ შეგამჩნია?***

– თანდათან დამიწყეს დაკვირვება. მათი მეკარეთა მწვრთნელი ზუგდიდის თამაშებზე დადიოდა. სხვათა შორის, მაშინ ზუგდიდში ვლადიმირ ლიუტი მუშაობდა. გასული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე თბილისში მიმიწვიეს. ჩავედი, შევხვდი პრეზიდენტს, მოვილაპარაკეთ ყველა საკითხზე და ასე აღმოვჩნდი დინამოში. კონტრაქტის სისტემაა 1+2 და 2017 წლის ბოლოს კლუბს აქვს უპირატესი უფლება, კიდევ 2 წლით დამიტოვოს.

***– ახალ ადგილს როგორ შეეწყვე?***

– თბილისი არარეალურად ლამაზი ქალაქია და დღემდე არ მბეზრდება მისით ტკბობა. განსაკუთრებით მომხიბლავია ღამის ქალაქი. თავისუფალ დროს ვცდილობთ ხოლმე გავლას... უკვე მთელი ქვეყანა მოვიარეთ. თანაგუნდელები ამბობენ, რომ ლიტოვჩენკო უკვე ისეთ ადგილებშია ნამყოფი, სადაც ფეხი ბევრ ქართველსაც არ დაუდგამსო. ამ ქვეყანაზე უკვე ბევრი შემიძლია ვისაუბრო.

***– კავკასიურ ჩემპიონატებზე ხშირად საუბრობენ ნეგატიურ ასპექტში, ახსენებენ გარიგებულ მატჩებს.***

– როცა საქართველოში ჩავედი, მაშინაც მოვკარი ყური მსგავს პრეტენზიებს, თუმცა, მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ არ ყოფილა ლაპარაკი გარიგებულ თამაშებზე, არ ყოფილა არც ერთი სკანდალი. შესაძლოა, ახალმა სქემამაც იმოქმედა – ახლა 10 გუნდი 4 წრეს თამაშობს. თასის ჩათვლით, 40 მატჩამდე გამოდის. თუკი გავითვალისწინებთ, რომ კლუბების უმეტესობაში მოგებისთვის პრემიალურებს უხდიან, ბოლომდე ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს. საქართველოში ჩემპიონატის ფორმატიც შეცვალეს და ახლა ის გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება. საერთოდ კი, ქართველები ფეხბურთში რეფორმებს კომპლექსურად ატარებენ. ახლა ყველა თამაშის ტრანსლაციას ატარებენ და არამხოლოდ ტელევიზიით, არამედ – იუთუბითაც. ფედერაცია ყოველწლიურად აფინანსებს უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს თითქმის ნახევარი მილიონი დოლარით. პლუს, დაკავებული ადგილის შესაბამისად, დაწესებულია პრემიალურები. ეს განსაკუთრებით იმ კლუბებს ეხმარება, რომლებსაც ძლიერი პატრონი არ ჰყავს. გამოდის, რომ ფედერაცია მთლიანად ინახავს გუნდს. საქართველოში ცოტაა კერძო კლუბი, თუმცა დაფინანსების დროს ფედერაცია მკაცრად აკონტროლებს კლუბს, განსაკუთრებით, ხელფასების დროულად გაცემას.

***– წინა ჩემპიონატი დინამომ მისთვის უჩვეულო მეოთხე ადგილზე დაასრულა. ეს შეფასდა, როგორც კრახი?***

– გუნდი ევროთასებზე ვერ გავიდა. საქართველოში ამისთვის ზედა სამეულში მოხვედრაა საჭირო. პრობლემა ის იყო, რომ დინამოს ფეხბურთელთა ნახევარს კონტრაქტები უსრულდებოდა, თანამშრომლობის გაგრძელება კი ან კლუბს არ სურდა, ან თავად ფეხბურთელს. შესაბამისი იყო ატმოსფეროც, ბევრი ბოლომდე არც იხარჯებოდა. დღეს დინამო სულ სხვა გუნდია. ბევრია ახალგაზრდა, გუნდში საშუალო ასაკი კი, ალბათ, 20 წელია, მე კი ყველაზე უფროსი გამოვდივარ. დინამოს ახლანდელი გუნდი, პრაქტიკულად, საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების წევრებისგან შედგება. ამოცანა კი გუნდის ათამაშება და ტალანტების გამოჭედვაა.

***– მიუხედავად ამისა, თქვენი გუნდი დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს.***

– დიახ, 16 მატჩიდან მხოლოდ 3 წავაგეთ, აქედან 9 მატჩი კი „ნულზე“ ჩავატარე.



***– 9 თამაში გაშვებული გოლის გარეშე – ეს შენი დამსახურებაა თუ დინამოს ყველაზე ძლიერი რგოლი დაცვის ხაზია?***

– ჩვენ ძალიან კომპაქტურად და პასუხისმგებლობით ვირჯებით დაცვაში. გუნდში ისეთი დისციპლინაა, რომ ანგარიშში ნებისმიერი უპირატესობის დროსაც გვთხოვენ, არ გავუშვათ გოლი. ბოლო წუთამდე კონცენტრირებულნი ვთამაშობთ. მე სულ მიმეორებენ – მთავარია, თამაში „ნულზე“ დაასრულო.

***– თქვენი დაცვის ლიდერი გიორგი გველესიანია, რომელიც ერთი პერიოდი ვოლინში იყო სინჯებზე.***

– ის და მარცხენა მცველი ლაშა თოთაძე. ისინი იცნობენ უკრაინას, საუბრობენ რუსულად. ლაშა ერთ დროს კიევის დინამოს მეორე გუნდშიც ყოფილა, გიორგი კი – ვოლინში სინჯებზე, თუმცა ტრანსფერზე შეზღუდვის გამო ვერ დარჩა. საერთოდ, დაცვის ხაზი გამოცდილი გვყავს, გოლების გატანა კი წინ მყოფი ახალგაზრდების საქმეა.

***– გველესიანთან ლუცკს იხსენებთ ხოლმე?***

– ძალიან ხშირად და მხიარულად... ჩვენ ოჯახებითაც ვმეგობრობთ, ჩვენი ცოლები თამაშზე ერთად მოდიან ხოლმე.

***– დინამოში ჯერჯერობით კონკურენციას ვერ გრძნობ?***

– რატომ? ნუკრი რევიშვილი საქართველოს ნაკრების კარს წლების განმავლობაში იცავს, დაახლოებით 30 შეხვედრა აქვს ჩატარებული. მან ანჟიშიც ითამაშა, კრასნოდარშიც... მე ადგილი გუნდის ძირითადში თურქეთში ზამთრის შეკრების შემდეგ დავიმკვიდრე. მაშინ მთელი ზამთარი თურქეთში გავატარეთ და დინამოსაც საკმაოდ „უკრაინული“ შეკრება გამოუვიდა – ვეთამაშეთ ვოლინს, ოლიმპიკს, დნიპროსა და ჩერნომორეცს.

***– დინამოში უკრაინული დიასპორაც გყავთ.***

– დიახ, ჩემ გარდა, იქ არის მცველი ბოგდან მიშენკო და ფიზმომზადების მწვრთნელი ვიტალი შპანიუკი. თუმცა, ბოგდანი ალბათ აღარ იქნება გუნდში, მისით კმაყოფილნი არ არიან. ახლა მას კონკურენტი გამოუჩნდა დაცვის მარჯვენა ფლანგზე.

***– შენი ყოფილი კლუბი ოლიმპიკი ევროთასებზე გავიდა, ამჟამინდელი კი ჯერ ახლა იბრძვის მომავალ სეზონში იქ ადგილის მოსაპოვებლად. არ გწყინს?***

– უკრაინის ჩემპიონატს თვალს ვადევნებ და ძალიან მახარებს ოლიმპიკის წარმატება. კლუბის წარმომადგენლებს მივულოცე კიდეც ევროთასებზე გასვლა. ბიჭებთანაც მაქვს კონტაქტი. აი, ახლახან თემურ ფარცვანია შინ დაბრუნდა და საქართველოში შევხვდით.

***– თბილისის დინამოში სტატუსის შესაბამისია სავარჯიშო პირობები?***

– ფეხბურთთან მსგავსი პროფესიონალური მიდგომა ჯერ არსად მინახავს. ყველაფერი უმაღლეს დონეზეა – დაწყებული ახალი საკლუბო ავტობუსით, დამთავრებული სავარჯიშო მოედნებით. თბილისის დინამოს ბაზა კიევის დინამოს დონისაა. უბრალოდ, ზღაპარია.

***– მაგრამ ასეთი ვითარება მხოლოდ ლიდერებშია? საით მიდის ქართული კლუბების უმეტესობა?***

– უმაღლესი ლიგის 10 კლუბიდან არცთუ კარგი მოედანი მხოლოდ ქობულეთსა და სამტრედიაშია, სადაც ხელოვნური საფარი აქვთ. საუკეთესო მოედნებია თბილისსა და ქუთაისში. ბათუმშიც აშენებენ ახალ სტადიონს. დანარჩენ გუნდებს, უბრალოდ, ნორმალური მოედნები აქვთ. მაგალითად, თბილისიდან ერთი საათის სავალზე, გორში, არის 5-6.000 მაყურებელზე გათვლილი წმინდა საფეხბურთო არენა. იქ თამაში ერთი სიამოვნებაა.

***– ტრიბუნებზე ანშლაგი საქართველოში ხშირი მოვლენაა?***

– ვერ ვიტყვი, რომ ხშირად მინახავს ამ ნახევარი წლის განმავლობაში... თუმცა, დინამოს გასვლით მატჩებზე ტრიბუნები ყოველთვის ივსება. მაგალითად, როცა ქუთაისში ვთამაშობდით, მატჩზე 10.000-ზე მეტი ქომაგი მოვიდა, თბილისში კი, როგორც კიევში, უფრო ნაკრების ან ევროთასების მატჩებს სწყალობენ.

***– ამ სეზონში დინამოს ამოცანა ჩემპიონობა და ევროთასებია?***

– კონკრეტულად ასე არავის უთქვამს, უბრალოდ, ყოველი მატჩისთვის საბრძოლველად განგვაწყობენ. კლუბის პრეზიდენტი გუნდის ყოველ ვარჯიშს ესწრება. რა თქმა უნდა, ეს ყველას ეხმარება მობილიზებაში. მას ოფისი ბაზაზე აქვს და ყოველდღიურად ვხვდებით. თბილისის დინამო, როგორც კიევის დინამო, სახელოვანი კლუბია. თუკი მატჩს ფრედ ვასრულებთ ან ვაგებთ, ეს მკაცრი განსჯის საგანი ხდება.

***– საკლუბო ტრადიციებს ფეხბურთელებს ათავისებინებენ?***

– კახა კაჭარავა ყოველ წვრთნაზე გვეუბნება, რომ ჩვენ დინამო ვართ და ეს უნდა დავამტკიცოთ თამაშით, მოედანზე სოლიდურობითა და ქცევით. გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და ბიჭებს ასე უყალიბდებათ მსოფლმხედველობა, ფეხბურთის აღქმა. ჩვენ წინაშე მოთხოვნები გაცილებით მაღალია და გამარჯვებაც გვიფასდება – პრეზიდენტისგან წახალისება ყოველთვისაა. გვაძლევენ ამოცანას, მოვიგოთ ზედიზედ 3 თამაში, შესრულების შემდეგ კი ვიღებთ გარკვეულ პრემიალურ თანხას.

***– ქართველ ახალგაზრდებს ევროპაში სურთ თავის გამოჩენა?***

– დიახ, ყველას ევროპაში უნდა თამაში, საიდანაც სელექციონერები ხშირად ჩამოდიან. ქართული ფეხბურთი ტალანტების აღმოჩენასა და გაყიდვაზეა ორიენტირებული. პრაქტიკულად, მთელი ეროვნული ნაკრები ევროპაში ან რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

***– უკრაინაში ქართულ ფეხბურთზე ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ ის უაღრესად ტექნიკური, კომბინაციური და ინდივიდუალურია. ამ მხრივ დღეს შეცვლილია რამე?***

– ბოლო დროს ზოგიერთ გუნდში გამოჩნდა უცხოელი მწვრთნელი. უცხოელი სპეციალისტის ხელში კი ზოგჯერ გუნდი ტრადიციული თამაშის სტილიდან უხვევს. საქართველოში გუნდების უმეტესობა მაინც სუფთა ქართული სტილით თამაშობს – უყვართ ბურთთან მუშაობა, ნაკლებად ძალისმიერი სამუშაო და ფიზიკური დატვირთვა. თუმცა, გამოჩნდა უფრო დისციპლინირებული გუნდებიც. თუკი იმპროვიზაციის შეხამება მოხდება დისციპლინასთან, ძალიან ძლიერ ქართულ გუნდებს ვიხილავთ.

***– იმპროვიზაცია მეკარის მტერია?***

– თუკი უკრაინაში მეკარეს ხშირად შეუძლია შემტევი მოთამაშის ჩანაფიქრის გამოცნობა, აქ ეს საკმაოდ რთულია. საქართველოში თავდამსხმელები ძალიან არაორდინარულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

# კონფედერაციის თასზე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

**გერმანია-კამერუნი 3:1**

**სოჭი. ფიშტი**

1:0 დემირბაი (48), 2:0 ვერნერი (66), 2:1 აბუბაქარი (78), 3:1 ვერნერი (81)

**გერმანია:** ტერ შტეგენი, გინტერი, ზულე, რუდიგერი, კიმიხი, რუდი (ჰენრიხი 74), ჯანი, პლატენჰარდტი, დემირბაი (ბრანდტი 78), დრაქსლერი (იუნესი 80), ვერნერი

**კამერუნი:** ონდოა, მაბუკა, ნგაჯიუ, ტიეკუ, ფაი, ჯუმი (ნგამალუ 58), სიანი, ანგისა, ბასოგოგი (ეკამბი 82), აბუბაქარი, მუკანჯო (გუოატა 70)

**გაძევება:** მაბუკა (64)

გერმანელებმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვეს. ერთია, ჯგუფური ეტაპის მე-3 მატჩი არცთუ იოლი გამოდგა. აფრიკის ჩემპიონებმა იოაჰიმ ლიოვის გუნდს ბრძოლა გამოუცხადეს და პირველი ტაიმიც თანაბარი გამოვიდა.

მე-2 ნახევარი კი გერმანელებმა სხვა განწყობით დაიწყეს და მალევე მიაღწიეს შედეგს – გოლი დემირბაიმ გაიტანა. კამერუნი არ დანებდა და თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს. თუმცა, ყველაფერი ერთმა მომენტმა გადაწყვიტა, როდესაც 61-ე წუთზე მოედნიდან მაბუკუ გააძევეს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავდაპირველად მსაჯმა სიანი გააძევა, მაგრამ ვიდეორეფერის ჩარევის შემდეგ შეცვალა გადაწყვეტილება.



რიცხობრივი უპირატესობაში მყოფმა გერმანელებმა მე-2 გოლიც გაიტანეს – თავისი პირველი სანაკრებო გოლი ტიმო ვერნერმა მიითვალა.

კამერუნი მაინც არ გატყდა და აბუბაქარმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა, თუმცა მატჩის მიწურულს აფრიკელებს ძალები აღარ დარჩათ და ვერნერმა დუბლი გაიფორმა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტიმო ვერნერი

ვერნერმა კონფედერაციის თასზე პირველად ითამაშა სრული 90 წუთი და ეს ნდობა გაამართლა. 21 წლის ფორვარდს პირველ ტაიმში მღელვარება მაინც ეტყობოდა, მაგრამ შემდეგ ისე ათამაშდა, რომ კამერუნელებმა მის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. 2 გოლი გაიტანა, მაგრამ მეტიც შეეძლო – კამერუნელთა მეკარე ონდოამ სასწაულებრივი ბურთები აუღო.

**ჩილე-ავსტრალია 1:1**

**მოსკოვი. ოტკრიტიე**

0:1 ტროისი (42), 1:1 მ. როდრიგესი (67)

**ჩილე:** ბრავო, ისლა, პ.დიასი, ხარა, მენა, არანგისი (პ.ერნანდესი 46), სილვა, ვიდალი, ფუენსალიდა (მ.როდრიგესი 46), სანჩესი, ე.ვარგასი (მ.დიასი 82)

**ავსტრალია:** რაიანი, მილიგანი, საინსბარი (რაითი 72), მაკგროუნი, კრუზე, ირვინი, ლუონგო, ბეჰიჩი, კეჰილი (ლეკი 57), ტროისი, იურიჩი (მაკლარენი 62)

ორივე გუნდმა ღია და სანახაობრივი თამაში შესთავაზა მაყურებელს. არც დრამატულობა აკლდა შეხვედრას. ჩილემ ძლიერად დაიწყო შეხვედრა, ავსტრალიამ გაუძლო, შემდეგ იღბალიც წაეხმარა. ჯერ იყო და მათ კარში პენალტი არ დაინიშნა (რატომ არ გამოიყენა მსაჯმა ვიდეორეფერი, გაურკვეველია), შემდეგ ტროისმა გაუტანა ჩილელებს და ავსტრალია დაწინაურდა.

შესვენებაზე ჩილელებმა ორმაგი შეცვლა გააკეთეს, მაგრამ გარკვეული დრო უფრო მწვავედ მაინც კუნძულელები გამოიყურებოდნენ. ჩილელები უფრო რისკიანად და სუმბურულად უტევდნენ და სწორედ ამან მოიტანა შედეგი. როდრიგესმა ბურთი არეულობის შედეგად გაიტანა.

ამის შემდეგ ღია ფეხბურთი გაჩაღდა, მაგრამ ავსტრალიელებს ძალები ელეოდათ და მატჩის სათავისოდ შემობრუნება ველარ მოახერხეს და ნახევარფინალშიც ჩილე გავიდა, რომელიც პორტუგალიას დაუპირისპირდება, ხოლო მეორე წყვილში ურთიერთობას გერმანია და მექსიკა გაარკვევენ.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯეიმს ტროისი

ვერ აკავებდნენ ჩილელები ავსტრალიელთა შემტევს, რომელმაც ძალიან ბევრი მწვავე პასი გააკეთა, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა დამამთავრებელ ფაზაში ვერ ივარგეს. თავად კი გაიტანა, მაგრამ ეს ავსტრალიელთათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 2.ჩილე | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3.ავსტრალია | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 4.კამერუნი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# რა არის ალერგიული რინიტი?

ეკა ირემაშვილი

**ალერგიული რინიტი ნებისმიერ დროს შეიძლება განვითარდეს. ის შეიძლება იყოს როგორც სეზონური, ასევე მთელი წლის განმავლობაში აწუხებდეს ადამიანს.**
**რა არის ალერგიული რინიტი, რა არის სეზონური რინიტი და როგორ გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ალერგოლოგი თინა მურადაშვილი საუბრობს.**

**თინა მურადაშვილი:**
– სეზონური ალერგიული რინიტები განსაკუთრებულ ყურადღებას ბავშვებში 8-დან 20 წლამდე იქცევს. შეიძლება თვითგანკურნებადიც კი იყოს და თავადვე ალაგდეს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გართულებები იჩენს თავს, რაც პოსტასთმური სინდრომით და ალერგიული ტიპის გამონაყარით გამოიხატება. ამიტომ, გართულება თავიდან რომ ავიცილოთ, შემდგომი ტაქტიკისა და მკურნალობისათვის, მშობელმა ალერგოლოგს უნდა მიაკითხოს. გადაუდებელ შემთხვევაში შეგიძლიათ, აფთიაქში წახვიდეთ, სადაც კონსულტაციას გაგიწევენ და პრეპარატს შეგირჩევენ, რომელიც დასაშვებია მიიღოთ მხოლოდ ერთი დღით და შემდეგ მიმართოთ ალერგოლოგს. ეს იქნება ერთგვარი პირველადი დახმარება, შემდეგ კი აუცილებლად ალერგოლოგს მიაკითხეთ.



სეზონურის გარდა, ასევე გვაქვს მთელი წლის ალერგიული რინიტი. ეს ალერგიული რინიტი ნებისმიერ დროს შეიძლება განვითარდეს. ალერგენის დადგენა ხდება ალერგოლოგთან გამოკვლევების საფუძველზე. ალერგიულ რინიტს მთელი წლის განმავლობაში იწვევს სინოტივე, ობი, სოკოები. ასევე არსებობს ოთახის მტვრის ტკიპა, რომელიც ორგანიზმის კანის უჯრედებით იკვებება. ბუდობს რბილ ქსოვილებში.

***– როგორ გავარჩიოთ გაციება და ალერგიული რინიტი?***
– ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა ერთმანეთისგან გაარჩიოს გაციებისა და ალერგიული რინიტის კლინიკა.

ალერგიის დროს ცხვირიდან გამონადენი უხვი თხიერია, შეიძლება დაერთოს ყნოსვის დაკარგვა და ცხვირის წიაღების ანთება ანუ სინუსიტი, ჭინჭრის ციება და დერმატიტი.

გაციების დროს კი გამონადენი მოყვითალოა, ტემპერატურა დამახასიათებელი, ამასთან, სახეზეა სხეულის ტეხვის შეგრძნება, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღე, ხოლო ალერგიის დროს კი მანამ, სანამ ალერგენი არსებობს.

***– ყველაზე მეტად რა ჩივილებით მოგმართავენ პაციენტები?***
– ძირითადად პაციენტები მოგვმართავენ მძიმე ფორმის ალერგიებით: მწვავე ალერგოლოზები – მედიკამენტური ალერგია, ანგიონერვოზული შეშუპება, კვებითი ალერგია, შრატისმიერი დაავადებები, ინსექტური ალერგია – მწერების ნაკბენით გამოწვეული, რომელთა ჰოსპიტალიზება ხდება ჩვენს კლინიკაში. პაციენტებს ვთავაზობთ სრულ კომფორტს, 24 საათის განმავლობაში ვზრუნავთ მათ ჯანმრთელობაზე, გვყავს ბევრი მადლიერი პაციენტი, რომელიც გამოჯანმრთელებული და კმაყოფილი ბრუნდება სახლში.

***– რას იტყვით მზის ალერგიის შესახებ?***
– როცა გაზაფხულზე მწველი მზეა, უმჯობესია ადამიანი სხივებს მოერიდოს. თუ აუცილებელი არაა, ქუჩაში გასვლისგან თავი შეიკავოს. სხვა შემთხვევაში კი მზისგან დამცავი ქუდი დაიხუროს. სასურველია, დღე ჩრდილში გაატაროს და არ ჩაიცვას მუქი ფერის ტანსაცმელი, შეიმოსოს ნატურალური ქსოვილის სამოსით.

***– რა რეკომენდაციებს მისცემთ მკითხველს?***
– როცა პაციენტი ალერგიულია, ვურჩევთ რბილი ქსოვილი ტყავით შეცვალოს, ლოგინი კი ხშირად გაამზეუროს. ოთახი გაანიავოს დილით ძალიან ადრე ან გვიან, რადგან შუადღეს გარეთ მტვერია. საჭიროა, ფანჯრებისა და იატაკის სველი წესით დამუშავება. ალერგია განსაკუთრებით მწვავდება შემოდგომა-გაზაფხულზე. გამწვავებული ალერგიული ფონის მოგვარება დიეტოთერაპიითაცაა სასურველი. არ უნდა მივირთვათ მწარე, მჟავე, ტომატიანი საკვები, შემწვარი და თევზეულობა. სასურველია მიირთვათ ფაფეულობა, მაკარონი, ვერმიშელი, სუპეული, პიურე, მოხარშული ხორცი, დიდი რაოდენობით მინერალური წყალი და ჩაი, არავითარი წვენი! ერთადერთი შეიძლება მიიღოთ ჩირის, კომშის ან ვაშლის კომპოტი.

კალეიდოსკოპი

## სერიალ „გოგონების“ ვარსკვლავმა შიშველი სელფი გამოაქვეყნა



ამერიკელმა მსახიობმა ლენა დანემმა, რომელიც სერიალ „გოგონების“ ვარსკვლავია, საკუთარი შიშველი სელფი გამოაქვეყნა. მსახიობმა ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ატვირთა.

სურათისთვის თანდართულ კომენტარში დანემმა აღნიშნა, რომ მრავალი წელია საკუთარი სხეული უყვარს, მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ გარშემომყოფთაც ასეთივე დამოკიდებულება აქვთ მისი გარეგნობის მიმართ. მსახიობის თქმით, ის თავად დასცინოდა საკუთარ ფიგურას, რათა ეს გარშემომყოფთ არ გაეკეთებინათ. თუმცა 31 წლის ასაკში მან აზრი შეიცვალა, საზოგადოების აზრი გაიზიარა და ადამიანების რეაქცია აღარ აშინებს.

დანემის სელფმა 70 ათასზე მეტი მოწონება მიიღო. სულ კი მსახიობის გვერდს ინსტაგრამში 3,3 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## ამერიკელმა ჩხრიალა გველისგან ძაღლის გადასარჩენად თავი გაწირა



ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ ფინიქსის მცხოვრებმა იმისთვის, რათა საკუთარი ძაღლი გადაერჩინა, ჩხრიალა გველს ხელზე აკბენინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

62 წლის მაიკლ სიბურგმა ქვეწარმავალისთვის დამახასიათებელი ხმები გაიგონა, როდესაც ის ეზოში აუზს წმენდდა. გველი აუზის გასაწმენდი მოწყობილობის ქვეშ იყო დამალული.

სიბურგის ერდელტერიერი უცნაურმა ხმაურმა მიიზიდა და მისი წყაროს ძებნა დაიწყო. როდესაც მან ცხვირი იმ ადგილას შეყო, სადაც გველი იმალებოდა, ქვეწარმავალი შეეცადა მისთვის ეკბინა, მაგრამ პატრონმა მოასწრო ხელი აეფარებინა და გველმა მას უკბინა,

– ვიცოდი, რომ გველი მას უკბენდა და შევეცადე, რომ ის ამისგან გადამერჩინა, – განმარტა მომხდარი სიბურგმა. მამაკაცს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ყოველ წელს აშშ-ში ჩხრიალა გველები დაახლოებით 15 ათას შინაურ ცხოველს კბენენ და ასეთი შემთხვევების 80 პროცენტი ცხოველის დაღუპვით სრულდება. ადამიანისთვის ჩხრიალა გველის ნაკბენი ნაკლებად სახიფათოა. თუ დაკბენილი ორი საათის განმავლობაში მიიღებს შხამის საწინააღმდეგო წამალს, მისი დაღუპვის შანსი ერთ პროცენტს არ აღემატება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# საქართველოს ბ ნაკრები ჩინეთში მიემგზავრება



დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი გუნდი, რომელშიც 14 კალათბურთელი შედის, ჩინეთში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მიდის. ბ ნაკრები 12 ივნისს შეიკრიბა. დავით უსტიაშვილისა და რამაზ გოგობერიშვილის მეთვალყურეობით ნაკრები საკალათბურთო აკადემიაში და სპორტკომპლექს არენაში ვარჯიშობდა.

ბ ნაკრების დანიშნულება ის გახლავთ, რომ ეროვნული გუნდის შესაძლო კანდიდატები, რომლებსაც კარგი სეზონი ჰქონდათ და ძირითად ნაკრებში ამ ეტაპზე ვერ მოხვდნენ, ზაფხულის მანძილზე ფორმაში იყვნენ.

შარშან ბ ნაკრებიდან ეროვნულში 3 კალათბურთელი გადავიდა, რომელთაგან 2 ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. ბ ნაკრებში წლეულსაც მოიაზრებიან ეროვნულ ნაკრებში გადასვლის კანდიდატები და ეს საკითხი ჩინური შეკრების შემდეგ გაირკვევა.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი
### 27 ივნისისთვის



**ვერძი** – პლანეტები არ გწყალობენ. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. მხოლოდ საკუთარ თავზე ნუ იფიქრებთ. **კურო** – ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ და თქვენც ნურავის მიენდობით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ზედმეტ ხარჯებს მოერიდეთ. პირად ცხოვრებაში სიახლეები გელით. **კირჩხიბი** – მთლიანად საქმიან პარტნიორზე ხართ დამოკიდებული. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ოდესღაც დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** – პლანეტების განლაგება თქვენს სამსახურებრივ მდგომარეობაზე ნეგატიურად აისახება. ეცადეთ, საკუთარი პრინციპები დაიცვათ. **ქალწული** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების დროა. მატერიალურ მდგომარეობას ფილოსოფიურად მიუდექით. **სასწორი** – ახალი საქმის დასაწყებად, საქმიანი ურთიერთობებისათვის ერთობ შესაფერისი დღეა. ჯანმრთელობას მიხედეთ. **მორიელი** – ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში მთლიანად პარტნიორის გუნება-განწყობაზე ხართ დამოკიდებული. საჯარო პირებთან ურთიერთობა წარმატებულია. **თხის რქა** – იზრუნეთ თვითგანვითარებაზე, შეიძინეთ ცოდნა, მიიღეთ ახალი ინფორმაცია. **მერწყული** – უსიამოვნო ინფორმაცია სულიერ წონასწორობას დაგირღვევთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებისა და საკუთარ ჯანმრთელობას. **თევზები** – საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ. მთავარია, ემოციებს არ აჰყვეთ და სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის არაყი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 15. რძის პროდუქტი; 17. პორტატული მფრინავი აპარატი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სამხედრო სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. საჭადრაკო ამოცანა; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ქანთრი; 7. ლავირება; 8. ეტიუდი; 10. კარმა; 11. კონსენსუსი; 13. ვიდიკონი; 16. თეზისი; 19. ნემესიდა; 20. დანტისტი.

**შვეულად:** 1. პასტიჩო; 2. პრადო; 3. პასიანსი; 4. პრიმატი; 5. ლაბრადორი; 9. ნისანი; 12. მერგელი; 14. ილუზია; 15. კედი; 17. სევდა; 18. ენდი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ნიანგი; 2. გაი; 3. ტემპი; 4. პროზა; 5. სიმონია; 6. მარტინ; 7. ტინი; 8. ლაცორია; 9. დია; 10. დუნაი; 11. მინსკი; 12. მერია; 13. ტრიუმი; 14. ალიმენტი; 15. ცენტნერი; 16. ფანტომი; 17. უტიე; 18. ორპირი; 19. აფრა; 20. რაუნდი; 21. ივნისი; 22. პროტეინი; 23. „ფორტე“; 24. ფარ; 25. მარსი; 26. ლემა; 27. მისის; 28. ლიე; 29. რამბულიე; 30. აბა; 31. კაბა; 32. ილი; 33. ვიკუნია.

**სურათებზე:** მილენ დემონჟო; მაურო სარატე.

# ელტონ ჯონის კონცერტზე დასასწრები ბილეთები 54 წუთში გაიყიდა

16 სექტემბერს საქართველოში მსოფლიო ვარსკვლავი ელტონ ჯონი ჩამოვა და ბლექ სი არენაზე კონცერტს გამართავს.

კონცერტზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 25 ივნისს დაიწყო და ზუსტად 54 წუთში მთელი ბილეთები სრულად გაიყიდა.

როგორც ტკტ.ჯი-ს გენერალურმა მენეჯერმა მარიამ მორგოშიამ ჟურნალისტებს განუცხადა, საიტზე ტექნიკური პრობლემები არ ყოფილა, მომხმარებლებს პრეტენზია იმის გამო ჰქონდათ, რომ ბილეთების მცირე რაოდენობა ჩაეშვა, რეალურად კი მსურველი ბევრად მეტი იყო:

– ბილეთების გაყიდვა 25 ივნისს დილის 10:00 საათზე დაიწყო. ტექნიკური პრობლემები არ ყოფილა, უბრალოდ, მცირე რაოდენობის ბილეთები ჩაეშვა გაყიდვაში. ბლექ სი არენა დაახლოებით 10.000 მაყურებელს იტევს. ბილეთების შეძენის მსურველთა რაოდენობამ 30 000 შეადგინა. ბილეთების გარკვეული რაოდენობა მომღერლის ფანებისთვის იყო განკუთვნილი და ელტონ ჯონის საიტზე, მის ფანებს ბილეთების შეძენა 20-იდან 23-ივნისამდე შეეძლოთ.



24 ივნისს სოლოს კლიენტებს – „პლატინიუმ“ და „აფერ“ ბარათების მფლობელებს კონცერტზე დასასწრები ბილეთები „სოლო ლაუნჯებში“ შეეძლოთ ეყიდათ.

– ვინც არ არის სოლოს ? მომხმარებელი, მათ ბილეთების შეძენა 29 ივნისს, დილის 10:00 საათიდან შეეძლებათ. სოლოს კლიენტებს ერთჯერადად ექვსი ბილეთის ყიდვა შეეძლოთ, 29-ში კი, სავარაუდოდ, ერთ მომხმარებელზე ორი ბილეთის შეძენის შესაძლებლობა იქნება. ამის მიუხედავად, ბილეთების უმეტესობა უკვე გაყიდულია.

ელტონ ჯონის კონცერტზე სოლოს მომხმარებლებისთვის ბილეთის ფასი 90 ლარიდან 550 ლარამდე იყო, ხოლო 29-ში ბილეთების ფასი 150 ლარიდან 750 ლარამდე იქნება.

## სამგლოვიარო განცხადებები



პირველი გალის საშუალო სკოლის ყოფილი პედკოლექტივი და თანაკლასელები დიდი გულისტკივილით იუწყებიან მაღალი რანგის დასტაქრის, უშურველი სიკეთის გამღები, ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნების, ფაქიზი სულიერი სამყაროს მქონე მეგობრის, მოსიყვარულე მეუღლის, კოლხური კოლორიტული ადათწესების დიდი ქომაგის, ქალბატონ

### ნანი ინდიკოს ასულ ზაქარაია-მუშუქიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის უახლოეს ნათესაობას.

ქალბატონი ნანი იყო ზრდილი, წესიერი, სამართლიანი, კეთილი, ულალატო, მოსიყვარულე და წარმოიდგინეთ, ექსტრემალურ სიტუაციაში გმირული მებრძოლიც. მან აფხაზეთის ომის დროს მისი პაციენტი დაჭრილი აფხაზი იხსნა შურისმაძიებელი შეიარაღებული ქართველი მებრძოლისგან. ასეთი გმირობა მაშინდელ სიტუაციაში უკვდავთა წილხვედრია.

საუკეთესო თვისებებითა და ცხოვრების ულამაზესი წესით ის უფრო ზეციური მოვლენა იყო, ვიდრე მიწიერი. 8 წლის განმავლობაში მალავდა ავადმყოფობას, რომ მის უახლოეს ადამიანებს არ ენერვიულათ. სიკვდილამდე ორი დღით ადრე დედას ტელეფონით არ დაელაპარაკა მოსკოვიდან, ჩახლეჩილ ხმაზე შემატყობს ავადმყოფობას და ინერვიულებსო, ხოლო დედასთან უკანასკნელად დალაპარაკების სიამოვნება საფლავში ჩაიტანა. სასტიკი განაჩენია საკუთარი თავისადმი.

ასეთი უკვდავი, ფაქიზი სულის პატრონი ადამიანის ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან გაუსაძლის ტრაგედიად იქცა მის მიერ სიყვარულითა და რუდუნებით შექმნილი ოჯახისათვის, დედისათვის, ნათესავებისათვის, მეგობრებისათვის.

რად ღირს ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური აღიარება ნანი ზაქარაია-მუშუქიას ზნეობრივი უკვდავი სულის შეფასებისას:

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეობს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს!“.

ნათელში იყოს მისი უკვდავი სული მარადისობის ზეციურ საუფლოში აწ და მარადის!

**ოჯახის, სანათესავოსა და სამეგობროს სახელით, მისი მასწავლებლები: ნარგიზა კვეკვესქირი, გივი ჩეხერია, რაჟდენ ქარდავა; თანაკლასელები: ტრისტან ჩეხერია, ოთარ ეზუგბაია, მერაბ ბიბლაია, თენგიზ ჩეხერია, ბორის ბიბლაია**



უახლოესი ნათესავები, მეგობრები და მეზობლები დიდი მწუხარებით იუწყებიან მეგობრობაში ულალატო, სიკეთით სავსე, კოლხური კოლორიტული პიროვნების და ოქროს გულის მქონე კაცური კაცის, ბატონი

### ჯემალ ლეონტის ძე ბაღათურიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის დედმამიშვილებს.

ბატონი ჯემალი იყო სამართლიანი, მოსიყვარულე, უანგარო მეგობრობის თაყვანისმცემელი, რაშიც უზენაესმა უმკაცრესად დასაჯა – ავარიაში უსაყვარლესი მეგობარი დაეღუპა, რაც სიკვდილის ბოლომდე ვერ მოუნელებია.

დაღუპული მეგობრის ლერი ფაცურიას გარეშე ვერ გაძლო სააქაოს და ზეციურ სასუფეველში ეახლა მას სამარადჟამოდ;

ნათელში იყოს მისი უწმინდესი სული აწ და მარადის, ამინ!

**ანატოლი შონია, ვარერი ქურსუა, რაჟდენ შეგელია, რაჟდენ ქარდავა**

მერაბ, თამაზ, გოგი, სოსო, შუქრი, დავით, ლევან, კობა, გია დგებუაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის

### გურამ დგებუაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ლონდონში ქოვენთ გარდენის სცენაზე ქართველი სოპრანოს დებიუტი შედგება



ახალგაზრდა ქართველი სოპრანოს სალომე ჯიქიას დებიუტი ლონდონში ქოვენთ გარდენის სცენაზე შედგება.

სალომე არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია. მომღერალი მსოფლიოში აღიარებული საოპერო მომღერლის ხოსე კარერასის პარტნიორიც გახდა და ტენორის მსოფლიო ტურნეშიც მიიღო მონაწილეობა.

ლონდონის ქოვენთ გარდენის სცენაზე მოცარტის ოპერა „მითრიდატე, პონტოს მეფე“ იქნება წარმოდგენილი, სადაც ქართველი სოპრანოს დებიუტი შედგება.

სალომე ჯიქიამ საოპერო სპექტაკლში გერმანელი სოპრანო ანეტ ფრიტში ქსიფარეს პარტიაში შეცვალა, რომელმაც როლზე უარი განაცხადა და მის ნაცვლად თეატრის ხელმძღვანელობამ სპექტაკლში ქართველი სოპრანო მიიწვია.



## 7 წლის ლუკა კაკაბაძემ პირველი პრემია მოიგო

7 წლის ქართველმა პიანისტმა ლუკა კაკაბაძემ თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მოიგო.

ინფორმაცია და გამარჯვებულის ვიდეოჩანაწერი პიანისტმა და მუსიკათმცოდნემ ნინო ჟვანიამ ინტერნეტში გაავრცელა:

– ეს „ნიჭიერთა ათწლედის“ პირველი კლასის მოსწავლე ლუკა კაკაბაძეა, რომელსაც 16 ივნისს შეუსრულდა სულ რაღაც 7 წელი!

ამ არაჩვეულებრივი შესრულებით მან პირველი პრემია მოიპოვა თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე! ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო ფაქტია, რომ ლუკა თამუნა ჟვანიას კლასის მოსწავლეა... ვულოცავ ჩემს დაიკოს საერთაშორისო კონკურსის პირველ ლაურეატ მოსწავლეს!

ერთია, როდესაც სტუდენტს ამეცადინებ, მეორე კი – როცა პატარას სულ თავიდან აწყებინებ დაკვრას. რაღაცით ემსგავსები მშობელს, რომელთანაც ბავშვი ენას იდგამს! რა მაგარია, ალბათ, როდესაც ხედავ, რომ ბავშვი აშკარად სრულყოფილად დაეუფლება ამ ენას! ლუკამ ენა კი არ აიდგა, ჩათვალეთ, უკვე სერიოზულ ლიტერატურულ ნაშრომებს კითხულობს.

ვულოცავ კონკურსის ყველა ლაურეატს, მათ პედაგოგებს, სკოლებს და კიდევ ერთხელ შევახსენებ მათ, ვისაც მოეკითხება: ხალხო, მიხედეთ მუსიკას! ამ ხარისხის ნიჭის ესოდენ დიდი კონცენტრაცია, პლუს ასეთი პროფესიული კადრები – ბევრი ქვეყანა კი ვერ დაიკვეხნის ამგვარი მაჩვენებლებით!

და ამისთანა მაჩვენებლების ფონზე, ყოველწლიურად მცირდება კონსერვატორიის სტუდენტთა კონტინგენტი. მიზეზებზე არ ვწერ... აქ მხოლოდ პოზიტივზე მინდა აქცენტის გაკეთება... მოკლედ ვიტყვი: ეს ამბავი მისახედია!

მადლობა ამ კონკურსის ორგანიზატორს, ტატა ლიჩელს, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ უნდა მიხედოს საქმეს, და ასევე მადლობა მათ, ვინც მას მხარში უდგას.

## „ქუთაისის გული, ფაქტობრივად, განადგურებულია“




ამ განცხადებას ინტერნეტში სალომე ბენიძე აკეთებს და ქუთაისის ცენტრალური მოედნის ფოტოს ავრცელებს.

იმ ადგილას, სადაც ახლა გამალებული მშენებლობა მიდის და სულ მალე მაკდონალდსი გაიხსნება, მუზეუმის აშენება იგეგმებოდა, თუმცა არჩევანი კვების ობიექტზე გაკეთდა.

სალომე ბენიძე:

– საკითხის ასე დასმა, მაკდონალდსი უნდა აეშენებინათ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე თუ ეკლესია, თავიდანვე არასწორი იყო. მივესალმები მაკდონალდსსაც, ეკლესიასაც და ნებისმიერ სხვა დატვირთვის შენობასაც, რომელიც არ არღვევს ურბანულ ქსოვილს და არ აუშნოებს ქალაქს. დიდი დავისა და კამათის შემდეგ, ქუთაისის ცენტრში უკვე აღმოცენდა მაკდონალდსის ეს შენობა, რომელსაც მალე ეკლესიაც დაადგება თავზე. შედეგად, ეს ცნობილი ადგილი, ქუთაისის გული, ფაქტობრივად, განადგურებულია. არ ვიცი, ამას რა უნდა ეშველოს. დღეს ჩავიარე და მართლა ცუდად გავხდი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 27 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 02.30** C-სტუდია **16.30** "დღე მუზეუმში" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **18.30** "ზღვარზე" ტელებლოგში **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ . სპორტი 360 **23.00** მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" (მ.გრიფიტი) **00.45** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**"

**08.00** დოკ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **09.00** დოკ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები" **15.00** დოკ/ფ "ფერებს სამყარო" **16.00** დოკ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** დოკ/ფ "ქვეყანა ბავშვების გარეშე" **18.00** დოკ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება** **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცოდნა ფულია **23.30** მხ/ფ "**შუამავალი**" **01.45** მხ/ფ "**შეუჩერებელი**" **03.40** მხ/ფ "**ტერმინალი**"

**06.00, 18.45** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.03** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.00** კურიერი **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი

**08.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები - მეამბოხეები **09.00** სერ. ""**ერთხელ ზღაპარში**" **13.00** სერ. "**მოტივი**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **19.00** სერ. "**შავი სია**" **21.00** სერ. "**მაფიოზა**" **22.30** მხ/ფ "**გიჟური სულელური სიყვარული**" **0.45** მხ/ფ "**უკვდავი როკი**" **3.05** მხ/ფ "**მწვანე ბარათი**" **5.05** მხ/ფ "**ერთხელ რომში**" **6.50** მხ/ფ "**ღამეები როდანტში**"

**08.00** ანანდა **08.15** მულტფილმი **08.30** სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40** ახალი ამბები **11.25** დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" XII ნაწ. **11.50** ავტომანი **12.05** მოდი გავიყაროთ **13.00, 03.55** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.20** დოკ/ფ "გმირები" საბიას დედოფალი I ნაწ. **18.00, 0.00** ფაბრიკა **20.00, 02.55** პრიორიტეტი **21.10** კიჟილიქსი **21.30** კრაზანა **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**ძლიერი იარაღი**"

**06.10** სპექტაკლი "**კავკასიური ცარცის წრე**" I, II **17.40** დ/ფ "ველური ბუნება"-ოპერაცია სავატა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **10.45** პატერიკი-მკვდრეთით აღმდგარის შესახებ **10.40** დ/ფ "ქართველი მამელუქები ეგვიპტეში" **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა **12.10** მოკ. მხ/ფ "**ლახტი**" **12.30** საქართველო ევროპულ ოჯახში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "მინანქარი" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "ველური ბუნება"-ცეკვა ფარშავანგებთან ერთად **15.45** კონცერტი **16.30** სიმღერის კვალდაკვალ "გორი" **17.10** ქრისტიანული ხელოვნება "ქრისტიანული ხელოვნების არსი" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** სამყაროს შექმნა **19.30** დ/ფ "ელადის მიწაზე" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა" **1 00.30** საღვთისმეტყველო საუბრები **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 ივნისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4110
- ევრო — 2.6921
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0690
- 100 რუსული რუბლი — 4.0425

## ამინდის პროგნოზი 27 ივნისისთვის





27 ივნისიდან
შიო გვეტაძე
მონანიება
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




21 ივნისიდან
ილია ილფი
ევგენი პეტროვი
თორმეტი სკამი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



29 ივნისიდან
ონორე დე ბალზაკი
ოცდაათი წლის ქალი
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




## იუმორი



რუსი ქალი ამერიკის ძვირფას სასტუმროში დაბინავდა. ერთხელაც გადაწყვიტა, მზეზე გარუჯულიყო, სასტუმროს სახურავზე ავიდა, ყველაფერი გაიხადა და დედიშობილა მზეს მიეფიცხა. გარკვეული დროის შემდეგ მასთან სასტუმროს თანამშრომელი ავიდა და ეუბნება:

– მომიტევეთ, სასტუმროს ადმინისტრაციას სახურავზე თქვენი გარუჯვის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ, გთხოვთ საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ.

ქალმა ინტიმურ ადგილზე პირსახოცი აიფარა და ეკითხება:

– ასე შეიძლება?
– გთხოვთ, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვით.
– კი მაგრამ, რატომ?
– იცით, რაშია საქმე? ახლა სადილობის დროა, თქვენ კი რესტორნის მინის სახურავზე წევხართ.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, ზღვაზე რა წამოვიღო ისეთი, რომ ჩემ დანახვაზე ყველამ გაოგნებისგან პირი დააღოს?
– თოვლის თხილამურები.

•••

ქალი ქმარს შორდება. მოსამართლე განქორწინების პროცესზე ეკითხება:
– რატომ შორდებით მეუღლეს?
– მმმ...
– სვამს?
– არა.
– ეწევა?
– არა.
– ნარკოტიკებს იღებს?
– არა.
– მცირე შემოსავალი აქვს?
– არა.
– გცემთ?
– არა.
– ბავშვებზე არ ზრუნავს?
– ზრუნავს.
– გღალატობთ?
– არა, რას ამბობთ.
– როგორც ქალს, ვერ გაკმაყოფილებთ?
– არა, ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა.
– სახლის საქმეში არ გეხმარებათ?
– მეხმარება.
– მაშ, რა მიზეზით შორდებით?
– იცით რა, ბატონო მოსამართლევ, რაც საჭიროა, ყველაფერს აკეთებს... მაგრამ, უნდა ნახოთ, როგორი გამომეტყველებით...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ალვარო არბელოამ კარიერა დაასრულა



34 წლის ესპანელმა მცველმა ალვარო არბელოამ საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ამის შესახებ მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

– ჯერ კიდევ შემიძლია ფეხბურთის თამაში, მაგრამ კარგად ვიცი, რომ მაღალ დონეზე ასპარეზობა გამიჭირდება. ვფიქრობ, უკვე დროა, რომ ფეხბურთიდან წავიდე, – განაცხადა არბელოამ.

არბელოამ კარიერის მანძილზე უამრავი ტიტული მოიგო, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო. გულშემატკივარს არბელოა ყველაზე მეტად რეალში თამაშის გამო ახსოვთ, სადაც ალვარომ 7 წელი გაატარა.

არბელოა რეალში გადასვლამდე ლივერპულის ფეხბურთელი იყო, ხოლო ესპანეთის ნაკრების მაისურით მას 56 მატჩი აქვს ჩატარებული.

## რიად მარეზი კარიერას არსენალში გააგრძელებს



ლესტერის ალჟირელმა ვინგერმა რიად მარეზმა ივნისის დასაწყისში განაცხადა, რომ მომავალ სეზონში სხვა გუნდის მაისურს მოირგებდა, რადგან ლესტერში მან საკუთარი თავი ამოწურა. მარეზს რამდენიმე წინადადება ჰქონდა, მაგრამ ყველაზე რეალური ისევ არსენალის ვარიანტია, რომელსაც მარეზის შეძენა ჯერ კიდევ შარშან სურდა.

მაშინ ალჟირელმა ფეხბურთელმა ლესტერში დარჩენა ამჯობინა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად არის.

არსენალი მარეზის ტრანსფერში 40 მილიონ ევროს იხდის.

უახლოეს დღეებში მარეზი ლონდონში უნდა ჩავიდეს, სადაც ის არსენალთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

## ბარსელონა პაულინიოს ტრანსფერში 25 მილიონს იხდის



კატალონიის ბარსელონა პაულინიოს ყიდვას აპირებს და კატალონიელები მზად არიან, ჩინურ გუანჟოუ ევერგრანდს, სადაც პაულინიო თამაშობს, 25 მილიონი ევრო გადაუხადონ. პაულინიო ჩინური გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, ამიტომ ჩინელები მას ადვილად არ დათმობენ და შესაძლოა ბარსელონას უფრო მეტის გადახდა მოუწიოს.

ჩინეთში გადასვლამდე პაულინიო ინგლისური ტოტენჰემის ღირსებას იცავდა, სადაც ბოლო სეზონი ცუდად ჩაატარა, რის შემდეგაც ტოტენჰემმა მასზე უარი თქვა.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა განაცხადა, რომ ბარსელონაში გადასვლა მისთვის ოცნების ასრულება იქნება.

## სალაჰი: „ლივერპულთან ერთად ინგლისის ჩემპიონატს მოვიგებ“



ლივერპულის ახალმა ფეხბურთელმა მოჰამედ სალაჰმა ლივერპულზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდში გადასვლით ის ძალიან ბედნიერია.

სალაჰის თქმით, ის მზად არის, ლივერპულთან ერთად ბევრი ტიტული მოიგოს.

– ლივერპულის თამაშებს თვალს ვადევნებდი და ვფიქრობ, რომ ამ გუნდს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. შევეცდები, რომ ლივერპულის წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო და გუნდის გულშემატკივრები გავახარო, – განაცხადა მოჰამედ სალაჰმა.

ეგვიპტელმა ფეხბურთელმა დაამატა, რომ მისი მიზანი ინგლისის ჩემპიონატის მოგებაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 2. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 3. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 5. სვან მამაკაცთა ცეკვა; 6. მოძღვრება რელიგიის შესახებ; 9. წყალბადის იზოტოპი „მძიმე წყალი“; 10. ქართველი ბალეტმეისტერი ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 16. აფრიკული ანტილოპა; 16. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 18. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი.

**თარაზულად:** 1. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 7. ქართული სადაზღვევო კომპანია; 8. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 12. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 13. ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებული დიდი ხვლიკი; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 19. სისხლის თეთრი ბურთულაკები; 20. ბრიტანული არაყი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

